ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ლამპარი

თფილისი

სამშაბათი, 30 (12) მაისი.

1906

წელიწადი პირველი.

დამშეულები ფქვილს იტაცებენ წისქვილიდან.—მშიმშილენი საზოგადოებას აარსებენ პურის საშუალოდ გასაზიდათ.—აჯანყების ნიშნები გლეხებსა და ჯარში—გორემიკინს და მის ამხანაგ-მინისტრებს სამსახურიდან გასვლა ფიქრათაც არ მოსვლიათ.—სალამი ს.-დ. დეპუტატებს.

№ 32 ყოველ-დღიური გაზეთი. № 32

## რედაქციისაგან

რადგან გაზეთის გამოცემა ეხლანდელ პირობებში მეტად ბევრ ხარჯებს თხოულობს და შემოსავალი გასავალს ვერ ფარავს, ამის გამო რედაქცია იძულებულია გაზეთის ფასი ასწიოს ამ რიგად:

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მ.ნ. |
| სამი თვით . . . . | 2 მან. |
| ორი თვით. . . . | 1 მან. და 50 კაპ. |
| ერთი თვით . . . . . . . | 80 კაპ. |
| თფილისში თვიურათ ღირს . | 60 კაპ. |
| ცალკე ნომერი ყველგან . . . | 5 კაპ. |

**ხელის მომწერლების საყურადღებოთ.**

ვისაც „ლამპარი"-ს გამოსაწერათ რედაქციაში ფული არ შემოუტანია, ხვალიდან გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ხელის მოწერა მხოლოდ რედაქციის კანტორაში და აგენტებთან მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვიდან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდის და საღამოს 5-დან 7 საათამდის, კვირაობით 12—2 საათამდის.

**რედაქციის კანტორა გადავიდა მიხაილოვის ქუჩაზე, № 12, სახლი მანუელოვისა.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ".

ვაუწყებთ ყველა ნათესავებს და ამხანაგებს

**ელენა ნანუკოვის**

უდროვო სიკვდილს. გარდაიცვალა 27 მაისს.

**სტუდენტი** ნოვოროსიის უნივერსიტეტისა, გამოცდილი მასწავლებელი, ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის. ადრესი: მოლაკნის ქუჩა, № 29, ბინა № 14, ნახვა შეიძლება ნაშუადღევს 3 საათიდან საღამოს შვიდ საათამდე. (4—1).

### არჩევნების შედეგები

თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში არჩევნები დასრულდა. მეტი არ იქნება უკან მოვიხედოთ და გავითვალისწინოთ ის ერიად საყურადღებო სურათი, რომელიც ამ არჩევნებმა გადაგვიშალა.

კლასიური ბრძოლა წითელ ზოლივით არის გავლებული მთელ არჩევნებში თავიდან ბოლომდის, მივყვეთ ამ წითელ ზოლს და მაშინ ადვილათ ავხსნით მრავალ სიურპრიზებს (საკვირველებებს), რომლებიც არჩევნებმა მოგვიტანა.

მრავალმა პარტიამ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, მრავალი ინტერესი შეეჯახა ერთმანეთს. ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი ცდილობდა თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა სათათბიროში, რადგან ინსტიქტიურათ გრძნობდა, რომ ყოველი კაცი უფრო თავის კლასის სარგებლობას დაიცავს. რომელი პარტიაც დაინახავდა, ჩემ წარმომადგენელს ვერ გაიყვანო, მაშინვე სუნით დაუწყებდა ძებნას ყველაზე მახლობელ მონათესავე პარტიას და ინსტიქტი თავის დღეში არ უღალატებდა, სულყოველთვის სისწორით მიაგნებინებდა, ვინ არის მახლობელი, ვინ შორეული. ეს კლასიური ინსტიქტი არჩევნებში იმდენათ ძლიერი გამოდგა, რომ აშკარათ დასძლია ყოველი სუბიექტიური ლოღიკა და სინიდისი.

ბრძოლის ველზე გამოვიდა ჯერ ყველაზე უფრო დაჩაგრული, ყველაზე ძალიან შევიწროებული, ყველასაგან ყვლეფილი მდაბიო ხალხის მასა—პროლეტარიატი და სოფლის გლეხობა; ესენი ყველაზე მომეტებულათ გაატყავა არსებულმა წეს-წყობილებამ და ამიტომ ყველაზე უფრო რევოლიუციონერია, ყველაზე ძლიერი სურვილი აქვთ ძირიანათ გადმოაბრუნონ დღევანდელი წესები, რომ ქვა-ქვაზე არ დარჩინონ თვითმპყრობელობის სიმაგრეებში. და მუშათა ხალხმა წინამძღოლათ აირჩია პარტია, რომელსაც სწორეთ ძირიან-ფესვიანათ სურს აღმოფხვრას პოლიტიკური რეჟიმის ხსენება, მან აირჩია სოც.-დემოკრატიული პარტია.

ბრძოლის ველზე გამოვიდა სხვა და სხვა ერის ინტელიგენცია. ეკონომიურის მხრივ ეს ინტელიგენცია არ არის დაქვეითებული, მაგრამ არსებული წესწყობილება მასაც ბევრ უსიამოვნებას აყენებს. ჭკუით, განათლებით ინტელიგენტები ბევრათ მაღლა დგანან ბიუროკრატიის წარმომადგენლებზე, მაგრამ ამ უკანასკნელებს ყოველთვის შეუძლიათ დაუკითხავათ სახლში შეეჭრან, გაჩხრიკონ, დაპატიმრონ, მისი პიროვნება დაამცირონ. გარდა მაგისა, მათ უკრძალავენ თავისუფლათ ლაპარაკს, წერას, მოღვაწეობას. ამიტომ მათაც ძალიან გულით უნდათ ამ წყობილების ძირიანათ შეცვლა, მაგრამ, რადგანაც ეს შეცვლა მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი არ არის, როგორც პროლეტარიატისთვის და გლეხობისთვის, ამიტომ ისინი არ არიან უკანასკნელებსავით რევოლიუციონერები. და ინტელიგენტებმა შესაფერ პარტიების დროშებსაც შეაფარეს თავი: ქართველებმა—ფედერალისტურ და ე. წ. „დემოკრატიულ" პარტიებს, სომხებმა და, რამდენიმე რუსებმაც—რადიკალებს.

ბრძოლის ველზე გამოვიდენ კიდევ კაპიტალის წარმომადგენლებიც. თვითმპყრობელობამ ამათაც გაუჭირა საქმე: სულ მუდამ გაფიცვები, სულ მუდამ უწესოება, ვაჭრობის შეჩერება, ყველაფერი ეს მათ პროცენტს აკლებს და ზარალს აძლევს. ამიტომ მათ სურთ თითონ ჩაიგდონ ხელში სახელმწიფოს სადავე და თავის სურვილისამებრ ყვლიფონ პროლეტარიატი. ამათ ხალხის მოძრაობა უფრო აშინებთ, ვიდრე თვითმპყრობელობა; და ამათ აირჩიეს ისეთი პარტია, რომელიც რევოლიუციის წინააღმდეგია, მაგრამ წესწყობილების ცოტაოდნათ შეცვლა კი სურს, აირჩიეს კადეტების პარტია. (აქაური კადეტები ბევრათ უფრო მემარჯვენენი არიან რუსეთის კადეტებზე).

აი, ეს ჯგუფები გამოვიდენ ბრძოლის ველზე. (რუს-პატრიოტებს აღარ ვიხსენიებთ). მიმოაელეს ერთმანეთს თვალი და ძალიან ადვილათ გაარჩიეს, ვინ ვისი მახლობელია, ვინ ვისი მტერი. ყველა პარტიებმა ერთხმათ მტრათ დასახეს სოც.-დემოკრატიული პარტია. ყველაზე უწინ ერთმანეთთან სულის თვისტომობა იგრძნეს ფედერალისტებმა და ქართველ „დემოკრატებმა". მათ გამოსვლის უმალვე მჭიდრო კავშირი შეკრეს. მაგრამ მათი ძალა სოც.-დემოკრატებთან და კადეტებთან საბრძოლველათ არ კმაროდა. დაიწყეს ძებნა მესამე მოკავშირისა, მაგრამ თავის ერში ვერ იპოვეს და იძულებული გახდენ შეძლებულ სომხის ინტელიგენციისათვის მიემართათ.

მაგრამ იყო ისეთი ადგილები, საცა „რადიკალური" პარტია სრულებით არ ყოფილა. მაშინ ქართველ რადიკალთა ბლოკს წინ უდგებოდა ერთი დილემა: ან უნდა სოც.-დემოკრატებისთვის მიეცათ ხმა და კადეტები გაეშავებინათ, ან კადეტებთან უნდა შეეკრათ ბლოკი და მათი შემწეობით ზოგი მათი, ზოგი თავისი კანდიდატები გაეყვანათ. ქართული ბლოკი ყველგან მეორე გზას დაადგა; ჯერ იყო და ფოთში ხმა მისცეს კადეტ ნ. ნიკოლაძეს; მერე გორში ხმა მისცეს კადეტს პროფ. ხახანაშვილს; ეს ამომრჩეველთა არჩევნებზე. დეპუტატების არჩევნებზე ხომ კადეტებთან ცხადი ბლოკი შეკრეს: ქუთაისში ფედერალისტ დემოკრატ კადეტების ბლოკმა კანდიდატებათ წამოაყენა: ბ.ბ. კ. აბაშიძე („დემ."), ი. ფანცხავა (ფედ.) და ვ. მიქელაძე (კადეტი). ყველას მოეხსენება, რა სახელოვანი კაცია ბ-ნი მიქელაძე; ამაზე მემარჯვენე თვით თფილისის თვითმართველობაშიაც არ მოიპოვება; ეს ვაჟბატონი იყო, ყველაზე ცხარეთ რომ წინააღუდგა ქალაქის თვითმართველობის საყოველთაო ხმის მიცემით არჩევას; ეს ვაჟბატონი იყო, „ზაკონ", „ზაკონ"-ს რომ გაიძახოდა! მაგრამ სოც.-დემოკრატების სიძულვილმა ქართველ რადიკალურ ბლოკს დაავიწყა ბ-ნ მიქელაძის რეაქციონერობა.

ამნაირათვე მოიქცა ქართველ რადიკალების ბლოკი თფილის-ის საგუბერნიო არჩევნებზე. იგი შეუკავშირდა კადეტების პარტიას და კანდიდატებათ წამოაყენეს ერთი ფედერალისტი (ი. ბარათაშვილი) და ორი კადეტი (პროფ. ხახანაშვილი და ექ. აივაზოვი). აქ კი მათმა ბლოკმა გასჭრა და გაიყვანა ერთი ფედერალისტი და ერთი კადეტი.

ამნაირათ ყველაზე ძალიან ერთმანეთთან დაახლოვებული არიან პარტიები ფედერალისტებისა და ქართველ დემოკრატებისა; შემდეგ მათ უახლოვდება სხვა ერების რადიკალები, მას შემდეგ—კადეტები. ყველა ეს პარტიები ადვილათ კავშირდებიან, როცა კი საერთო მტრისაგან—სოციალდემოკრატიისაგან შიში მოელით. რა აახლოვებს ამ პარტიებს? რათ სახავენ ყველანი სოც.-დემოკრატიას საერთო მტრათ? ადვილი ასახსნელია: ერთნაირი ეკონომიური მდგომარეობა. აქ აშკარათ იჩინა თავი შეძლებულ კლასების თავის დაცვის ინსტიქტმა. ამ ინსტიქტმა დაამეგობრა სხვა დროს გადამტერებული პარტიები, რომ შეერთებულ ძალით დასძლიონ მდაბიო ხალხის (მუშების და გლეხობის) წარმომადგენელი სოც. დემ.

ამ ინსტიქტმა არჩევნებში გადამეტებულათაც იჩინა თავი. ვინ არ იცის, რომ ფედერალისტებს და ქართველ „დემოკრატებს" დედის რძესთან ერთად უწოვიათ სომხებისადმი სიძულვილი. მაგრამ ცბიერმა ცხოვრებამ, თითქოს მათი დაცინვა უნდაო, თვალწინ დაუყენა მეფისტოფელისტური დილემა: აარჩიეთ ორში ერთიო: ან ქართველი, მაგრამ მუშათა პარტიის წარმომადგენელი (მამულაშვილი), ან სომეხი, მაგრამ შეძლებულ კლასების წარმომადგენელი (აივაზოვი). კლასიური მძულვარება უფრო ძლიერი გამოდგა ეროვნულ მძულვარებაზე.

არჩევნებმა ყველა პარტიას ძლიერის ხელით ჩამოაშორა შეუფერებელი ფერ-უმარული და ყველას თავისი ადგილი უჩვენა. თუ აქამდის ვისმე ფედერალისტების სოციალისტობა სწამდა, ამიერიდან ყველა მათ სოციალისტობას წუპაკებში ჩასვამს. თუ ვინმემ ქართველ „დემოკრატების" დემოკრატობა იწამა, ამიერიდან მათ დემოკრატობას უპწკალებოთ აღარავინ მოიხსენიებს. „სოციალისტ"-ფედერალისტები სამუდამოთ დაეთხოვებიან სოციალიზმს, ქართველი „დემოკრატები" სამუდამოთ დაეთხოვებიან დემოკრატობას.

სხვაც რომ არა გაეკეთებინათ რა არჩევნებს, ეს ილიუზიების გაქარწყლებაც საკმაოთ დიდი ნაყოფი იქნებოდა.

### სოციალდემოკრატიის გამარჯვება და ადგილობრივი პრესა

(ეროვნული საკითხი)

2.

ს.-დ. გამარჯვებით ჩვენი მოწინააღმდეგენი—ბურჟუაზიული პარტიები—დიდათ დამწუხრებულნი არიან. ეს, რასაკვირველია, თავის-თავათაც გასაგებია. „ივერიელნი" ასე განმარტავენ: დღეს რომ საქმე სოციალიზმის განხორციელებაზე იყოს მისული, მაშინ „ჩვენ სულით და გულით მომხრე ვიქნებოდით საპარლამენტო დეპუტატებათ საქართველოში მარტო სოციალდემოკრატების არჩევისა", მაგრამ—განაგრძობს ბ-ნი გოგიჩაიშვილი—დღეს სოციალიზმი მეტი ბარგია, ვინაიდან „რუსეთის ახლანდელ პარლამენტში უმრავლესობის შემდგენელნი არიან არა სოციალისტები, არამედ უბრალო დემოკრატები,—„კადეტები", რომლებმაც ასე სამაგალითოთ გაიმარჯვეს არჩევნებში. თითოეულ სოციალისტ დეპუტატს ამ პარლამენტში მნიშვნელობა ექნება არა როგორც სოციალისტს, არამედ როგორც დემოკრატს... ქართველ დეპუტატის მოქმედებასაც რუსეთის სათათბიროში, სოციალ-პოლიტიკურის მხრივ, იმდენათვე ექნება მნიშვნელობა, რამდენათაც იგი იმოქმედებს, როგორც დემოკრატი და არა როგორც სოციალისტი" *). რადგან სოციალდემოკრატები ყოველთვის მოქმედობენ როგორც სოციალისტები და არა როგორც უბრალო დემოკრატები, ცხადია „ივერიელების" აზრით მათი არჩევა სოც.-პოლიტიკური მხრივ დიდათ მავნებელი ყოფილა. ამ რიგათ, სოც.-დემ. გამარჯვებას „ივერიელნი" და ძმანი მათნი გლოვობენ, ვითარცა ბურჟუაზიის იდეოლოგები საზოგადოთ; მარა ისინი ამავე გამარჯვებას გლოვობენ ვითარცა ქართველ ბურჟუაზიის წარმომადგენელნი და დამცველნი.

„მთავარი პრინციპი", მთავარი მოთხოვნა, რომელიც „პირველ ადგილას უნდა იქნას წამოყენებული" დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში, ეს არის ეროვნული მოთხოვნა ანუ უკეთ საქართველოს ავტონომია,—ერთხმათ ამბობენ „ივერიელნი", ფედერალისტები და ყველა ქართული „პარტიები". აქედან ცხადია, რას უნდა ნიშნავდეს მათთვის სოციალდემოკრატიის საარჩევნო გამარჯვება. „ამ პარტიის (ს.-დემ.) ასეთი გამარჯვება—სწერს „ივერია" № 10—საქართველოს ეროვნულ იდეისა და მისწრაფების პირველი პოლიტიკური დამარცხება არის". აქედან გასაგებია მათი გლოვა და დრტვინვა. მაგრამ, კადეტებს რომ გაემარჯვათ, ცხადია, ისინი სომეხს აირჩევდენ. ქართველი სოციალდემოკრატი კი ავია თუ კარგი ქართულათ ლაპარაკობს, ქართველი ადამიანის სახელს ატარებს. დეე ქართველ სოც დემ. არჩევა სოც. პოლიტიკურათ ჩვენთვის დამღუპველი იყოს, მარა სომეხი ხომ გავაშავეთ და მით გული გავიგრილეთ: „ამიტომ თფილისიდან ქართველ სოციალდემოკრატის გაგზავნა სათათბიროში დეპუტატათ ჩვენთვის, ქართველებისათვის სასიამოვნო და სასიხარულოა; მაგრამ საქართველოს სხვა ადგილებშიც სოციალდემოკრატიის გამარჯვება უეჭველათ ახალ პოლიტიკურ სარბიელზე ქართველ ერის ხალხოსნურ დამარცხების მომასწავებელია" (კვლავ მწუხარება და კვლავ ცრემლები). როგორც ხედავთ, აქ ცხოველ სიხარულის და მტანჯველ მწუხარების ცრემლები ერთმანეთშია გალესილი. რათ ემართებათ ასე ჩვენს პატრიოტებს? ეს გახლავთ ნაციონალიზმის დიალექტიკის საიდუმლოება. ამ საიდუმლოების გასაღებს ერთ რიგათ იძლევა ქართველი პატრიოტი გაზ. „კავკაზი"-დან. იგი სწერს: „სოციალდემოკრატები არჩეულნი არიან, როგორც ქართველ ხალხის წარმომადგენელნი... მაგრამ თუ სოციალდემოკრატში მოკვდება ქართველი, თუ იგინი თავის პარტიულ ინტერესების გულისთვის დამარხავენ ქართულ სახალხო საქმეს, ამით იგინი მართლა რომ დათვის სამსახურს გაუწევენ მრავალ ტანჯულ ქართველ ხალხს". ფრიად საინტერესო სტრიქონებია: რათა გონიათ ჩვენ პატრიოტებს, რომ ქართველი სოც. დემ. დეპუტატები არჩეულ იყვნენ, ვითარცა ქართველ ხალხის წარმომადგენელნი? მათს არჩევნებში მონაწილეობას იღებდენ სხვა ერებიც. მაგ. ტფილისში ქართველებზე არა ნაკლებია სომეხი ამრჩეველები. ეს კარგათ იციან თვით ჩვენმა პატრიოტებმა, მარა ისინი მოხსენებული სტრიქონებით მხოლოთ მოაგონებენ ჩვენს დეპუტატებს ქართველობას, ქართველ შთამავლობას; ქართველი პატრიოტები სიხარულით და მწუხარებით გარს ერტყმიან დუმაში მიმავალ ჩვენს დეპუტატებს და მუდარის თვალებით ეუბნებიან: ნუ თუ რაიმე სოციალ-პოლიტიკურის მოსაზრებით თქვენ დაივიწყებთ თქვენს მშობელ დედას, ნუ თუ თქვენში არ გაიღვიძებს ქართველი, როცა დუმაში წამოაყენებენ ეროვნულ საკითხს, ნუ თუ თქვენ არ დაილაპარაკებთ ქართველი ხალხის ეროვნულ „ჭირ-ვარამზე?! არა, როგორიც უნდა იყოს სოციალდემოკრატიული მოძღვრება, თქვენ არ უარჰყოფთ თქვენს „ბუნებას", თქვენ ქართველ ხალხის წარმომადგენელნი ხართ! უნებლიეთ გაგონდებათ აქვითინებული დედა, რომელიც სასწავლებელში მიმავალ შვილს ემუდარება არ დაივიწყოს სამშობლო თვისი, და მოაგონებს: „მერწმუნე რომა გამოცდილია, თუ საძირკველი დანგრეულია და სხ." ასეთ სურათებზე ჩვენც კი მოგვერეოდა ცრემლი, რომ ერთობ სასაცილონი არ იყვენ ჩვენი პატრიოტები („ივერიელნი", ს.-ფედერალისტები, ბურჟუა დემოკრატები, რადიკალები და სხ."). იმათ რომ თავიდან ავაცილოთ შემდეგისათვის სასოწარკვეთილების სიმწარე, საჭიროა აქედანვე გაუფანტოთ ყოველივე ილიუზიები.

ქართველ სოციალდემოკრატში, მას შემდეგ, რაც ის ჩვენ პარტიას (ს.-დ.) შეუერთდა უკვე მკვდარია ქართველი-ნაციონალისტი, მკვდარია სამარადისოთ; ჩვენსა და პატრიოტებისათვის სხვა და სხვა არის ქართველი ხალხის ეროვნული ჭირ-ვარამი, სხვა და სხვა არის ჩვენი სამშობლოც. და ამიტომ ვერც სახელმწიფო დუმა, ვერც თვით საქართველოს ავტონომია და ვერც ვერავითარი მუდარა, ქართველ სოციალდემოკრატში ვერ გააღვიძებს „ქართველს". ქართველი სოც.-დემოკრატ დეპუტატის პოზიცია ეროვნულ საკითხში ერთი და იგივეა მიუხედავათ იმისა, თუ ვისგან არის იგი არჩეული: მარტო ქართველობისაგან, მარტო სომხობისაგან ან თათრობისაგან, თუ ყველასაგან ერთათ. ღრმათ შემცდარნი არიან ჩვენი ს.-ფედერალისტები და ძმანი მათნი, როცა იგინი გაიძახიან, რომ ქართველ სოც.-დემოკრატიისთვის არ არსებობს ეროვნული საკითხიო, რომ ეროვნულ საკითხს მხოლოდ ბურჟუაზიულ საკითხათ აცხადებენო. ღრმათ შემცდარნი არიან იგინი, როცა ირწმუნებიან: „რუსეთის საზოგადოება, სათათბირო, არა-რუსთა წარმომადგენელნიც ვერაფერს გაიგებენ მათგან (ქართველ სოც.-დემ. დეპუტატებისაგან) ქართველი ერის სულის კვეთებაზე, მის განსაკუთრებულ ჭირ-ვარამზე". არა ბატონებო, თუ სამართალია, სწორეთ თქვენთვის არ არსებობს ეროვნული საკითხი, რადგან ეროვნების სახელით თქვენ ნამდვილათ ემსახურებით მხოლოდ ქართველ ბურჟუაზიის „ეროვნებას". ჩვენის ღრმა რწმენით ეროვნული ჩაგვრა აღმაშფოთებელი უსამართლობაა; ეროვნული ჩაგვრა ავიწროებს და აფერხებს ერის კულტურულ განვითარებას, აფერხებს ერის წინმსვლელობას კეთილდღეობა-ბედნიერებისაკენ, იგი აცხოველებს ხალხის ტანჯვას; ეროვნული ჩაგვრა და

*) „ახალგაზდა მეცნიერი" ერთ პოლიუსზე აქცევს დემოკრატობას და მეორეზე—სოციალისტობას. ამ უკანასკნელს იგი—გვპირდება—მაშინ დასაქმებს, როცა სოციალისტურ რევოლიუციის დრო მოვა, მარა რადგან რევოლიუციები უაზროთ და უბრძოლველათ არა ხდება, ბ-ნ გოგიჩაიშვილს შეუძლიან არხეინათ დაიცინოს და თავისი სოციალისტობაც თავისსავე კასაში მაგრათ ჩაკეტოს.

მის ნიადაგზე აღმოცენებული ეროვნული შუღლი და განხეთქილება ხელ-ფეხში ედება პროლეტარიატის წმინდა კლასობრივ ბრძოლას სახალხო მეურნეობის მოსაპოვებლათ. აი ამიტომ ქართველი სოციალდემოკრატია სიტყვით და საქმით ესწრაფის ეროვნებათა სრულ თავისუფლებას. აი ამიტომაც, სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან, ქართველ სოციალდემოკრატ დეპუტატის პირით მთელი ქვეყანა გაიგონებს ქართველი ერის სულის კვეთებას და მის ჭირ-ვარამს და მათივე პირით გაიგონებენ ყველა დაჩაგრულ ეროვნებათა და განსაკუთრებით კი ჩვენივე ძმების სომხების, თათრების და სხ. კავკასიის დაჩაგრულ ერების სულისკვეთებას და ჭირ-ვარამს, ყველა ეროვნებას თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული. აი ამიტომ ჩვენი დეპუტატები იმპერიის საერო სახელმწიფო დუმისაგან დღესვე მოითხოვენ იურიდიულ ნორმებს, რომელნიც მიმართული იქნება ეროვნულ ჩაგვრის წინააღმდეგ და ეროვნულ თავისუფალ კულტურულ განვითარების განსახორციელებლათ.

—

დასასრულ, ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე ბურჟუაზიული პარტიები აღნიშნავენ —და სამართლიანადაც—რომ ჩვენი გამარჯვების მთავარი მიზეზი იყო ჩვენი სამაგალითო ორგანიზაცია და აგიტაცია. ისინი დღეს დღეობით სრულებით მოუმზადებელი შეხვდენ მომენტს, მაგრამ ამიერიდან, რაკი გაიგეს გამარჯვების „სეკრეტი“, ისინიც ამ საშუალებებს მიმართავენ და მაშინ, ოო მაშინ იგინი „ასლიტრაჟინას დალევენ და ყლაპს უზმენ“.

მაგრამ ეს ილუზიებიც აქედანვე უნდა გავუფანტოთ ჩვენს მოწინააღმდეგეთ. საკმაო არ არის სურვილი და ცოდნა იმისა, რომ ორგანიზაცია და აგიტაცია კარგი რამეა. იგინი ვერაოდეს—ვინემ ბურჟუებათ დარჩებიან—ვერ მიაგნებენ იმ წყაროს, რადგანაც სოციალდემოკრატია იკრებს დაუშრეტელ ძალებს პროპაგანდა-აგიტაცია—ორგანიზაციისათვის და იმისგან თავგანწირულ ბრძოლის გაფართოებულ ენერგიით.

ეს სოციალდემოკრატიის საიდუმლოებაა. და რომ ამ საიდუმლოებას ვერ მიაგნებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ამას მოწმობს თუნდა იგივე ქართველი პატრიოტი. ეს ბატონი სწერს: „და თუ იგინი (სოციალდემოკრატები) ეცდებიან მხოლოდ თავის პარტიულ იდეალების და ინტერესების განხორციელებას“, მაშინ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის ნაცვლათ გაგვიჩნდება ახალი მონობა და ხალხს თავზე დაეტყდება ეროვნული მძიმე უბედურებანი. როგორც ხედავთ მათ ერთ ჯიბეში უდევთ პარტიის ინტერესები და მეორეში ხალხის ინტერესები. უნდა განვუცხადოთ, რომ სოციალდემოკრატია მუდამ ემსახურება მხოლოდ და მარტო თავის პარტიის იდეალებს და ინტერესებს. მაგრამ ჩვენი პარტიის ინტერესები იგივე ხალხის ინტერესებია. ჩვენი პარტიის დროშაზე აწერია ძველი რომაელების თქმულება: salus populi suprema lex esto! (ხალხის შველა-ხსნა ჩვენთვის) უმაღლესი კანონია)!

## დ ე პ ე შ ა

(კერძო. 28 მაისი.)

**ბათუმი.** მიტინგი 400 უსაქმოთ დარჩენილ მუშისაგან შემდგარი სალამს უძღვნის სახელმწიფო დუმის წევრებს—ამხანაგ სოციალდემოკრატებს. დარწმუნებული ვართ, რომ გამოცდილი მებრძოლნი მოწინავე რაზმში ჩადგებიან დუმაში და მედგრათ მოითხოვენ დამფუძნებელ კრებას. გაუმარჯოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას! გაუმარჯოს მუშათა კლასის ამორჩეულებს.

მდივანი რადიონოვი.

**ფოთი.** სახელმწიფო დუმის წევრებს. ფოთის პროლეტარიატი სიხარულით ეგებება თქვენს არჩევნებს და გაძლევთ რა ხელში მუშათა ბრძოლის დროშას, გიძღვნის რევოლიუციონურ სალამს და გფიცავს უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლოს თავისუფლებისათვის. ბრძოლაში ნაწრთობო ამხანაგებო! აღიმაღლეთ თქვენი მძლავრი ხმა. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ფოთის მუშები.

**სადგ. ქვალონი.** თქვენი ცამეტი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობა მშრომელ ხალხის სასარგებლოთ ღირსეულათ დააფასეს თბილისელებმა. გულითად სალამს გიძღვნით და გისურვებთ ისეთივე სახელი დაუმსახურებით მონდობილ საქმეშიაც. მიიღეთ მოლოცვა ქვალონის მცხოვრებთა და მუშათა კლასისაგან **ვასილ მახხულია.**

**მოხკოვი.** ნოე ჟორდანიას. გილოცავ ბრწყინვალე გამარჯვებას, მიიღეთ ჩემგან სალამი. **ხორავა.**

**ყარაკლისი.** ნოე ჟორდანიას. მე და „ბამბაკის კარიერის“ ქვის-მთლელები სიხარულით ვეგებებით თქვენს არჩევას სახელმწიფო დუმის წევრათ. იმედი გვაქვს, რომ თავგამოდებით დაიცავთ საზოგადოთ მშრომელი ხალხის ინტერესებს და განსაკუთრებით თქვენი ამრჩევლებისას.

იასე რაჭველი.

# ახალი ამბები

— გუშინ, 29 მაისს, დღის 11 საათზე, ბაზრის ქუჩაზე მე-3 საპოლიციო უბანში ბრეგვაძის ხორცის სავაჭროს წინ **რევოლვერის ტყვიით მოკლეს** ბანკის-რესტორანის გამგე ნიკოლოზ გიორგისძე სხირტლაძე. მოკლულის გვამი სახლში წაასვენეს. მკვლელი მიიმალა, მაგრამ რამდენიმე კაცი იჭვით მაინც შეიპყრეს. პოლიციამ იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა, ორი დუქანი დაკეტა.

— დუშეთიდან იტყობინებიან: 24 მაისს ღამით დუშეთიდან 2 ვერსტის მანძილზე, სოფელ კარიაულთ-კარში, მოუკლავთ საკუთარ სახლში აზნაური თედორე ეფრემისძე კობიაშვილი, ცნობილი მაზრაში როგორც განმანთავისუფლებელ მოძრაობის მტერი.

— რკინის გზის ტიავის უფროსმა ბ. ვარტენბურგმა დეკემბერში დათხოვნილ მუშა მოსამსახურეების უკანვე მიღების შესახებ შემდეგი საკუთარი აზრი შეიტანა: როდესაც რკინის გზის საბჭოში კენჭი უყარეს საკითხს იმის შესახებ, რომ უკანვე მიღებულ იქნენ ყველა ის დათხოვნილი მოსამსახურენი, რომელნიც ჟანდარმებისაგან სისხლის სამართალში არ არიან მიცემული, მე მათი მიღების მომხრე ვიყავი. თანაც ვფიქრობდი, რომ ამ საკითხს შემდეგ მეორე საკითხსაც უყრიდენ კენჭს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ამიტომ ასე საკითხის გადაჭრა მე ულოღიკობათ მიმაჩნია. აქ მყოფი ჟანდარმების წარმომადგენელი ამბობს, ისინი დარწმუნებული არიან, რომ მისაღებ მოსამსახურეთა შორის ბევრი არიან ტერორისტები, მაგრამ საკმაო საბუთი არა გვაქვს მათ სამართალში მისაცემათო. ამნაირათ ჩვენ მივიღებთ ტერორისტებს, ხოლო ამათზე უფრო ნაკლები დამნაშავენი, მაგრამ სამართალში მიცემულნი, როგორც მაგალითათ ბ. ევანგულოვი და სხვებია, არ იქნებიან მიღებულნი. ამიტომ მე მომხრე ვარ იმისა, ამბობს ტიავის უფროსი ბ. ვარტენბურგი, რომ **ყველანი მიღებულ იქნენო**, და რომელსაც სამართალი დასჯის, ჩვენც მაშინ ის დავითხოვოთო.

— ჩვენ გაზეთში მოხსენებული იყო სახელი და გვარები „ელვის“ რედაქციაში დაჭერილთა, რომელნიც 27 მაისს მეტეხიდან გაანთავისუფლეს; ჩვენ მიერ მოხსენებულთა გარდა განთავისუფლებული არიან: ვლ. ახმეტელაშვილი, მ. წერეძე, ალ. ლანდი, მ. პართენაშვილი, თ. დოლიძე, ალ. ლომიძე, კაპანაძე, მ. ვანიძე, ი. ღვბერია და სხვ. სულ გაანთავისუფლეს 15 კაცი.

— „კაიწის“ რედაქციამ კერძო წერილი მიიღო ერევნიდან, სადაც შემაძრწუნებელი ამბებია მოთხრობილი. ერევანში თურმე დახოცილები და დაჭრილები ბევრია, უმეტესობა სომხები. საქმე, როგორც წერილიდან სჩანს, იმით დაწყებულა, რომ პოლიცმეისტერის ბინის მახლობლათ მცხოვრებ ერთ შეძლებულ თათარს სომეხი მოუკლავს. ამას შემდეგ სხვებსაც აუტეხნიათ სროლა. ქალაქში თურმე მეტის-მეტი შიშიანობაა. პატრულები დადიან მხოლოდ სომხების უბნებში.

— 22 მაისიდან გაფიცულნი არიან თფილისის ფქვილის საწყობების მოსამსახურენი. თავიანთ ალებს ამათ შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს: 1) მაღაზიები დილის 7 საათზე იღებოდეს და საღამოს 7 საათზე იკეტებოდეს, 2) დილაზე ჩაი ხაზეინების ანგარიშზე იყოს, სადილისთვის უფროს მოსამსახურეთ 3) კაპ. მიეცეს, ხოლო უმცროსს მოსამსახურეთ 15 კაპ., 3) სადილობის დროს ორი საათით დასვენება, 4) კვირა-უქმე დღეებში საწყობები დაკეტილი უნდა იყოს, 5) როდესაც საწყობი დაკეტილია, ალებს უფლება არა აქვთ მოსამსახურეები ამუშაონ, 6) თუ ალა მოსამსახურეს უმიზეზოთ დაითხოვს, ვალდებულია სამი თვის ჯამაგირი გადაუხადოს, 7) ავათმყოფობის დროს მოსამსახურეს წამალი და ექიმი ხაზეინის ხარჯზე აქვს, ხოლო ჯამაგირიც უნდა შეენახოს, 8) მოემატოს ყოველ 20 მანეთზე—25 პროცენტი, ხოლო ვისაც ნაკლები ჯამაგირი აქვს—30 პროცენტი, 9) ერთ ფუთზე მეტი ტვირთის გაზიდვა ადგილიდან ადგილზე მოსამსახურეთაგან არ შეიძლება, 10) ვისაც ერთი წლიწადი ემსახურნია, იმას შეუძლია თითო თვე წლიწადში თავისუფალი იყოს.—ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლათ მოსამსახურენი არ დაიწყებენ მუშაობას.

— კვირას, 28 მაისს, თფილისის წვრილ ვაჭართა ბიუროს დადგენილებით, რომელიც „ლამპარში“ უკვე იყო დაბეჭდილი, თითქმის ყველა მედუქნეებმა და ტრაქტირის პატრონებმა თავიანთი მოჯამაგირეები გაანთავისუფლეს. მაგრამ ვაჭართა შორის აღმოჩნდენ ისეთები, რომლებსაც კვირა-უქმე დღეებში მოჯამაგირეების განთავისუფლება არ ეპიშნიათ, მოჯამაგირეების კვირაში ერთი დღის თავისუფლება ზოგიერთ წურბელა ვაჭრებს გულზე ლახვარივით დაესო. სარაჯოვის ქარხნის პირდაპირ ბაზაზმა ლელაშვილმა ძლიერ იწყინა მოჯამაგირეების თავისუფლება და ლანძღვა-გინებას მიყო ხელი. ლელაშვილს არც ნიკოლაშვილები ჩამორჩენ, რომლებიც ვერაზე ხემელის აფთიაქის ქვეშ ვაჭრობენ. ამ ვაჟბატონებმა, როცა მოჯამაგირეებმა გამოუცხადეს, რომ კვირას თავისუფლება გვინდაო, ერთი აურზაური ასტეხეს და ყველას დაემუქრნენ, რომ ალაგიდან გაგაგდებ და დაგხოცავთო.

— ორშაბათს, 29 მაისს, **გაიფიცენ** აკოფოვის ლიმონათის ქარხნის მუშები და შემდეგი მოთხოვნილებები წარუდგინეს მექარხნეს: 1. სამუშაო დღის შემცირება 9 საათამდის, წინეთ მუშაობდენ 10 ნახევარ საათს; 2. დღიურ მომუშავეს ეძლეოდეს დღეში 55 კაპეიკის მაგიერ ერთი მანეთი; 3. თვიურ მომუშავეს მოემატოს: ვინც 20-დან 25 მანეთამდე იღებს—20 პროც. და ვინც 30-დან 40 მანეთამდე—10 პროც; 4. თვიურ მომუშავეს მიეცეს კნიშკა. 5. უფასო ექიმი, ფერშალი და წამლობა; 6. მუშაობაში დაშავებულს ეძლიოს სრული ჯამაგირი; 7. მუშების მიღება და დათხოვნა დამოკიდებული იყვეს თვით მუშებზე. 8) ზრდილობიანი მოპყრობა,

— როგორც გადმოგვცეს, კვირა საღამოს, 28 მაისს, დ. ლანჩხუთის სადგურზე ადგილობრივ ბოქაულს ხალხისთვის 10 მაისის დეპეშა წაუკითხავს. დეპეშა კონსტიტუციის შეეხება. ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს: აჰა დღეს განხორციელდა 17 ოქტ. მანიფესტი, ეხლა შეიკრიბეთ და ითათბირეთ რაზედაც და რამდენიც გინდათ, თავისუფლება გაქვთ: კრების, კავშირების, სიტყვის, გაფიცვის და ბეჭდვისო. ნუ თუ ეს პროვოკაცია არაა?

— თფილისში **უსაქმოთ დარჩენილ მუშების** ერთმა ჯგუფმა თხოვა თფილისის ქალაქის თავის მოადგილე თავ. ჩერქეზიშვილს, შეიტანოს საბჭოში განსახილველათ წინადადება იმის შესახებ, რომ თფილისში უსაქმოთ დარჩენილებისთვის გაიხსნას რაიმე საზოგადო სამუშაო. რადგან უსაქმოთ დარჩენილების რიცხვი თფილისში ბევრია, ამიტომ ქალაქის თავმა მიანდო ქალაქის საბჭოს მდივანს, სტ. ჰრელაშვილს, ქალაქის გამგეობის ზოგიერთ მოსამსახურეთა და უსაქმოთ დარჩენილთა წარმომადგენლებთან ერთათ განიხილოს ეს საკითხი და წარმოადგინოს თავისი აზრი იმაზე, თუ რანაირი სამუშაოს გახსნა შეუძლია ქალაქის გამგეობას. ამასთან, რასაკვირველია, მხედველობაში მიიღოს საქმის ფინანსიური მხარეც. ბ-ნ ჰრელაშვილს ამ საქმეში თანაშემწეებათ დაუნიშნეს ლევან მამულაშვილი, ბ-ნი ი. ფურცელაძე, ტეხნიკოსები ქურდიანი და ოგანჯანოვი, და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტი ი. როხლინი.

28 მაისს უსაქმოთ დარჩენილთა ჯგუფს ქალაქის გამგობაში მოსამსახურეებთან ერთათ თათბირი ჰქონდა. თათბირს დაესწრენ ქალაქის თავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და გამგეობის წევრი ალ. ხატისოვი. ამ კრებაზე სხვათა შორის გამოირკვა, რომ თფილისში უსაქმოთ დარჩენილთა რიცხვი 2000-დე ადის. მათ შორის 400-დე ინტელიგენტი და ამდენივე ხელოსანი. ამავე კრებაზე ილაპარაკეს აგრეთვე იმაზე, თუ რა და რა ჯურის სამუშაოს მოძებნა შეიძლება უსაქმოთ დარჩენილებისათვის. გამოირკვა, რომ ქალაქის გამგეობას შეუძლიან ქალაქის ზოგიერთ ნაწილში ქალაქისავე სასარგებლოთ გახსნას სამუშაო. სასურველათ იცნეს—ქალაქის საბჭოსაგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს და ფაბრიკების და სხვა სამრეწველო დაწესებულებების გამგეობების წინაშე, რომ უკანვე მიიღონ გაფიცვებში და არეულობებში მონაწილეობის გამო დათხოვილი მუშები. ინტელიგენტ მუშათათვის კი სასურველათ იცნეს ქ. თფილისის მცხოვრებთა აღწერის მოხდენა. ყველა ეს მოსაზრებები წარედგინა ქალაქის გამგეობას, რომელმაც დაადგინა: 1. აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა, რომ ადგილობრივ სახელმწიფო ბანკიდან ათი წლის ვადით 5 პროცენტიანი სესხეთ იქმნეს აღებული 500,000 მანეთი; 2. უფლება მიეცეს ქალაქის გამგეობას მოკლე-ვადიან სესხის განსახორციელებლათ დააგირაოს ჰიპოტეკიურ ბანკებში ქალაქის უძრავი ქონება; 3. უფლება მიეცეს გამგეობასვე მეორე მოკლე-ვადიანი სესხი აიღოს 140,000 მანეთამდე; 4. ცეცხლის მქრობელ რაზმის მახლობლათ დაწყებულ შენობაზე მუშაობა გაგრძელდეს, დაიწყოს აგრეთვე შენობა სკოლის სახლების; 5) თფილისის მცხოვრებთა აწერისათვის გადაიდოს 16,000 მანეთი, 6) გადაიდოს საარხო მილების შესაკეთებლათ დამატებითი თანხა 30,000 მან., რაც სახლის პატრონთ უნდა გადახდეს, 7) ეთხოვოს რკინის გზის სამმართველოს და ფაბრიკა-ქარხნების გამგეთ—უკანვე მიიღონ გაფიცვების გამო დათხოვნილი მუშები, 8) ეთხოვოს გამგეობას და ფინანსიურ კომისიას, რაც შეიძლება მალე შეასრულონ 1903 წლ. 12 თებერვლის მათდამი საბჭოსაგან მინდობილება, რომლითაც გამგეობას უნდა გამოენახა თანხა 400,000 მანეთამდე ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავათ, და სხვა და სხვა. ყველა ეს დადგენილებანი ქალაქის საბჭოს წარედგინება გასახილავათ.

— ბოზარჯიანცისა, „მირისა“, ენფიაჯიანცისა და საფაროვის თამბაქოს ფაბრიკების **გაფიცულ მუშებმა** ფაბრიკის გამგეთ მოთხოვნილებები წარუდგინეს. მოთხოვნილებები უმეტესათ ეკონომიურია. ბოზარჯიანცის ფაბრიკაში მომუშავეებმა შემდეგი მოთხოვნილებები წარუდგინეს:

1) რვა საათის სამუშაო დღე; 2) მუშების მიღება და გასტუმრება მუშების ამხანაგობის ნებაზე იყოს დამოკიდებული; 3) იანვარში ამ ფაბრიკის მუშები ცხრა დღეს გაფიცულნი იყვენ და მიეცეთ ამ დღეების ხელფასი სრულათ; 4) თუ რომელიმე მუშა ავათ გახდა, მას ნახევარი ჯამაგირი ეძლეოდეს ავათმყოფობის დროს; 5) თუ რომელიმე მუშა გარდაიცვალა, მის დასამარხავათ 50 მანეთი გადაიდოს; 6) ექიმი, წამალი და საავათმყოფო ალების ხარჯზე დაწესდეს; 7) გაფიცვების დროს ხელფასი სრულათ ეძლეოდეს მუშებს; 8) ზიარების მსურველ მუშებს მიეცეს ამისათვის საჭირო დრო და ხელფასი ამ დროის განმავლობაში; 9) ყოველ ათას გაკეთებულ პაპიროსზე 60 კაპეიკი ხელფასი დაწესდეს; 10) თამბაქოს ჩაწყობა მესამე და მეორე ხარისხისა ფუთზე 30 კაპ., 1-ლ ხარისხისა ფუთზე 40 კაპ.; ბანდეროლის გადაკვრა პაპიროსის კოლოფებზე 20,000-ზე 50 კაპ.; თამბაქოზე ბანდეროლის გადაკვრა მესამე და მეორე ხარისხზე 10 კაპ.; 11) მოემატოს მუშებს ხელფასზე, ვისაც 1 მ.-დან 5 მ.-დე ეძლევა, 20 პროცენტი; ამაზე მეტი ვისაც ეძლევა მოემატოს 10 კ. და 16 კ.

დაახლოვებით ასეთივეა სხვა ფაბრიკების გაფიცულ მუშების მოთხოვნები. ენფიანჯიანცის მუშები ამას გარდა მოითხოვენ აბანოს ფაბრიკასთან, სამუშაო ხალათებს მუშებისთვის, ჯამაგარის მომატებას: ვისაც თორმეტ აბაზიდან ოთხ მანეთამდი ეძლევა 30 პროცენტით, ოთხიდან ექვს მანეთამდი 20 პროცენტით, ექვსიდან რვამდი 15 პროცენტით, რვა მანეთ ზევით ვისაც აქვს მოემატოს 10 პროცენტი, ნაჭრით მომუშავეების გადაყვანა დღიურზე და სხვ. **მუშების უპირველესი მოთხოვნა რვა საათის სამუშაო დღის დაწესებაა.**

## არჩევნები და პოლიტიკური შარლატანობა.

—

ქუთაისის გუბერნიის არჩევნება, როგორც მოსალოდნელი იყო, გათავდა სოციალდემოკრატიის სრული გამარჯვებით. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არა ეს მხარე საქმისა. ჩვენ გვინდა მკითხველს მოკლეთ გავაცნოთ თუ როგორ იქცეოდენ ამ არჩევნებში სხვადასხვა პარტიები, რანაირი იყო მათი ბრძოლის საშუალება და მათი პარტიული ეთიკა.

არჩევნები დანიშნული იყო 24 ამ თვეს. 22 და 23 თითქმის ყველა ამომრჩეველი ჩამოვიდა გარდა გომართელისა და თედორე კიკვაძისა. პირველი საზღვარ გარეთ იმყოფებოდა, ხოლო მეორე ციხეში იჯდა. როგორც გაიგეთ ჩამოვიდა აგრეთვე მაქელაძე თფილისიდან, რომლის არჩევნება გაუქმებული იყო. საზოგადოებაში ხმა დადიოდა, რომ კადეტები შუამდგომლობენ სენატთან და მეფესთან, რომ სამტრედიის არჩევნება დაამტკიცებიაო. როგორც გაიგეთ რამდენჯერმე ნამესტნიკთანაც აფრინეს ტელეგრამა. რადგან ქუთაისის მაზრის მემამულეთა არჩევნების ისტორია ძლიერ ახასიათებს ჩვენს კადეტებს ამიტომ არ შემიძლია მკითხველის ყურადღება არ შევაჩერო ამ საგანზე.

საქმე აი როგორ იყო:

ქუთაისის მაზრის მემამულეთა პირველ არჩევნებზე თავმჯდომარემ, კადეტმა ნიჟარაძემ, გააუქმა სამტრედიის სამოქალაქო წვრილი მემამულეების 45 რწმუნებულის ხმა. ეს რწმუნებულები ყველანი სოციალდემოკრატების მომხრენი იყვნენ. მიზეზათ თავმჯდომარემ ის გარემოება დაასახელა, რომ არჩევნები ღია იყოო. თუმცა სხვაგანაც ჰქონდა ასეთ არჩევნებს ადგილი, მაგრამ გაუქმებულ იქნა მარტო სამტრედიის არჩევნები. გარდა ამისა მსხვილი მემამულეების მხრივ გამოაშკარავდა რამდენიმე ბოროტ-მოქმედება. ტატ., რომელიც წინა დღით წვრილი მემამულეების კრებაში ლობიობდა მონაწილეობას, მეორე დღეს რაღაც სასწაულით მსხვილი მემამულე გახდა და სხვ. ამნაირათ სოციალდემოკრატები უმცირესობაში დარჩენ და კადეტებმა გაიყვანეს 3 ამომრჩეველი: დავით ნიჟარაძე, ერისთავი და მაქელაძე.

მაგრამ ეს არჩევნები შემდეგ გაუქმებულ იქმნა. დაინიშნა სამტრედიის და ხონის სამოქალაქოში წვრილი მემამულეების ხელახალი არჩევნები რწმუნებულების ასარჩევათ. როგორც მკითხველებმა იციან, ამ კრებაზე გამოცხადდა 8 ათასზე მეტი წვრილი მემამულე, სადაც აირჩიეს 225 სოციალდემოკრატი. ამის შემდეგ ცხადი იყო, რომ კადეტები ვერ გაიმარჯვებდენ, რადგან მსხვილ მემამულეებს მთელ მაზრაში 130-მდე ხმა ჰქონდათ სულ. თავმჯდომარე ნიჟარაძე თვითონ უკანონოთ მოიქცა და ამიტომ ეს მეორე არჩევნებიც გააუქმეს.

ამ ნაირათ ორივე არჩევნები გაუქმებული იყო და ვინ იფიქრებდა, რომ კადეტები ამის შემდეგ კიდევ სარჩელებს აღძრავდენ და თავის [illegible] ების დამტკიცებას მოითხოვდენ?

ჩვენ არ ვიცით ზუსტათ რა ქნეს კადეტებმა. ეს კი ვიცით მხოლოდ, რომ უმაღლეს ინსტანციიდან არავითარი განკარგულება არ ყოფილა ქუთაისის პირველ არჩევნების ხელახლა დამტკიცებაზე. კანონი კი პირდაპირ ამბობს, როცა საგუბერნიო კომისია არჩევნებს აუქმებს, შემდეგ სენატს და პირადათ მეფეს შეუძლია არ დაამტკიცოს კომისიის დადგენილება.

მაგრამ 23 მაისს, საღამოს, სამაზრო კომისიამ (რომელიც კადეტებისგან შესდგება) დაამტკიცა მის მიერ გაუქმებული არჩევნები. კომისიის ამ ნაირ მოქმედებას არ ამართლებდა არც სინიდისი, არც ლოღიკა და არც არსებული საარჩევნო კანონი. ამნაირათ კადეტები ხელს კიდებდენ მცირე რამეს და აუქმებდენ წვრილ მემამულეთა არჩევნებს, მხოლოდ თავისა უკანონო არჩევნები დაამტკიცეს და ძალით მიითვისეს ხალხის უფლებები, ძალით მიითვისეს სამი ამომრჩევლის ადგილი და როცა ვეუბნებოდით, რომ თქვენ ამის უფლება არ გაქვთო, ისინი უსირცხვილოთ გაიძახოდენ: ხალხმა აგვირჩია და მისი უფლება უნდა დავიცვათო. ასე მოურიდებლათ, ასე ცინიკურათ გათელეს ქუთაისის კადეტებმა ხალხის უფლება.

და აი კადეტებს და მერე ამ ნაირ კადეტებს შეუერთდენ ფედერალისტები ჩვენს წინააღმდეგ. იმათ წამოაყენეს საერთო სია კანდიდატების: მაქელაძე (კადეტი), კიტა აბაშიძე და ფანცხავა (ფედერალისტები).

არჩევნებამდე ფედერალისტები აცხადებდენ, რომ ჩვენ კადეტებთან ბლოკს არ შევკრავთო. მაგრამ როგორც ვთქვით ბლოკი გაუკეთებიათ და კრებაზე საერთო კანდიდატები წამოაყენეს.

საინტერესოა, რას იტყვიან ამის შემდეგ ფედერალისტები? მოიშორებენ სოციალისტობის სახელს თუ არა? ქუთაისის არჩევნები ძლიერ ახასიათებს მათ. მათი პარტიის კაცია ვარადებული აფაქიძე, რომელიც შარშან მემამულეების კრებაზე გაიძახოდა: დაიწვება ერთი აზნაურიშვილის სახლი,—გადავწვავთ ათასი გლეხის სახლს, მოკვდება ერთი აზნაური,—მოვკლავთ ასს გლეხსო. „ცნ. ფურც.“ მაშინ ამ ვაჟბატონის წინააღმდეგ მთელი ალიაქოთი ასტეხა. მაგრამ ეს იყო მაშინ! დღეს ვარადებულ აფაქიძე თავისი ჩინ-ეპოლეტებით ამშვენებს ფედერალისტთა უმწიკვლო ბანაკს. რა ვუყოთ? ყველაფერი მოსალოდნელია და ფედერალისტთა სოციალისტურ პროპაგანდას ვარადებულის გულიც მოუნადირებია.

რაკი ასეთი თავდადებულ სოციალისტებისგან შესდგება ფედერალისტთა რაზმი ამას შემდეგ რა გასაკვირალია, რომ არჩევნებში დიდი სიამოვნებით დაიწერდენ ჯვარს კადეტებზე.

დიახ! ფედერალისტები ჩვენს წინააღმდეგ შეუერთდენ კადეტებს.

ჩვენ ყოველთვის ვუმტკიცებდით ხალხს, რომ ფედერალისტების პარტია ბურჟუაზიული პარტიაა, რომ მათ სოციალიზმს ჭეშმარიტ სოციალიზმთან არაფერი საერთო არ აქვს. მაგრამ ფედერალისტები გვიწყრებოდენ და ასე განსაკუთრებით ხშირათ ჩვენ გვიწუნებდენ სოციალიზმს და ნამდვილ სოციალისტებათ თავის თავს გამოუცხადებდენ. ეხლა კი ყველა მშრომელი აშკარათ დაინახავს თუ ვინ ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები. მათთვის სოციალიზმი გულუბრყვილოთა მოსატყუებელი საგანია. ეს საგარეო ფრაზაა და მეტი არაფერი. ქუთაისის არჩევნებმა ფარდა ახადა მათ ფიზიონომიას, გამოააშკარავა მათი ნამდვილი სახე. სიტყვით სოციალისტები, ისინი საქმით ყოველნაირ „სპრთლთან“, რომელსაც ქუთაისის კადეტები ეწოდება—შეერთდენ სოციალდემოკრატიასთან საბრძოლველათ. ჩვენ ფედერალისტებთან მეტობის მეტი არაფერი გვეთქმის ამისათვის. რაც უფრო ადრე მოინახავენ თავის ნამდვილ ადგილს, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის, მით უფრო გვაადვილებენ ხალხის წინაშე თავის ფიზიონომიის გამოაშკარავებას.

## „ნობათი“-ს ღია წერილისა და „შრომის“ „საზიზღარი მოვლენის“ გამო

—

ი მტკიცე, ისეთი უწმაწურობით და ლი ცილის წამებით სავსე, ისეთი ვეპირხეული უხამსი წერილი, როგორიც ბათი“-ს მე-10 ნომერში მოთავსებული ია წერილი ბ. ბ. „დანოსჩიკებს“), თვით ჭული გაზეთების ფურცლებზედაც, ნა არასოდეს დაბეჭდილა. ყოვლად მოუდგენელია, რომ ამ წერილის დამ- და მისი გაზეთში მომთავსებელნი მყოფელი ადამიანები იყვნენ. ამ ვაჟ- ნის ადგილი აქვთ არა გაზეთის რე- ქციაში, არამედ რომელიმე პსიხიატრულ ავადმყოფოში. აშკარაა, მათთან სერიოზ- ადამიანური კამათი ყოვლად შეუ- ძლებელია. ჩვენ არ ვაკადრებთ არც ჩვენს ვს და არც მკითხველებს ასეთ არა-ნორ- ლურ ინდივიდებთან დამამცირებელ გა- ჯამათებას. მკითხველს შეუძლია გულდა- თ წაიკითხოს ჩვენი წერილი „პარტიუ- ი მძარცველობა“, რომელმაც მათი ღია რილი გამოიწვია, და თვითონვე დასდოს ესაფერი მსჯავრი მათ საქციელს.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ლმა ქვეყანამ იცის და თვით ანარქის- ტებს კარგად მოეხსენებათ, რომ სხვა და სხვა პარტიების სახელით ჩვენში მუქარით და შეშინებით ფულს აგროვებენ. ანარქისტებს, უმცა მათი სახელით შეიძლება უფრო ირათაც გროვდებოდეს ფული, არც თხელ არ დაუგმიათ ამნაირი შანტაჟის- ობა რევოლიუციონერების სახელით. ეს ეთი ფაქტია, რომლის დარღვევა ცარიე- ი ლანძღვა-გინებით შეუძლებელია.

—

„ნობათს“ მხოლოდ „შრომა“ თუ გაუ- ევს მეტოქეობას ლანძღვა-გინებაში და უწმაწურ სიტყვა-პასუხში (იხილე „შრომა“-ში წერილი „საზიზღარი მოვლენა“). ჩვენ, საკვირველია, არც იმას ვაკადრებთ ჩვენს თავს და მკითხველებს, რომ „შრომის“ უწმაწურობას სერიოზულათ პასუხი გავცეთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ „შრომა“ „ნობათივით“ ცდილობს აღვირ- ხსნილ ლანძღვა-გინების შემწეობით ბრალ- დების თავიდან აცილებას, ჩაფუჩეჩებას. ენ ფედერალისტებს მათი პარტიული უმბელით ბოროტ-მოქმედებას ვუკიჟინე- ით. „შრომა“ ამბობს: ფედერალისტები ავიანთი შტემპელის შემწეობით მუქარით და შეშინებით ფულს არ აგროვებენო. მა- რამ ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, რომ „ცნობის ფურცელმა“ ჯერ კიდევ დეკემ- ბერში აღიარა—ფედერალისტების პარტია ულებს „კრეფს შეძლებულებისაგანო“. „ცნ. ფურც.“-მა აღიარა ეს, როცა „სხვა“ ფედერალისტებს დააბრალა, რომ „ისინი უწყებებს ურიგებენ გლეხებს, აწერენ -დან 40 მანეთამდე და თან ემუქრებიან—თუ არ გადიხდით „ათ დღეში“ კომიტეტი სტიკ ღონისძიებას იხმარსო“. „ცნ. ფ.“-მა მაშინ, აღიარა რა, რომ ფედერალისტები ფულებს აგროვებენ, კრინტიც არ დასძრა იმაზე, ხმარობენ თუ არა ისინი ფულის საკრეფათ მუქარას და შეშინებას, ე. ი. სეთი ბრალდება „ცნ. ფ.“-მა მაშინ არ არყო. დღეს კი „შრომა“ გამომდგარა და გაიძახის—ჩვენ მუქარით და შეშინებით ფულს არ ვაგროვებთო. აღარ ვიცით, „შრომას“ დავუჯეროთ თუ „ცნ. ფ.“-ს.

## კ რ ე ბ ა

—

სადამო არის, ჩამავალი მზე
მთისა მწვერვალსა ელერსება,
გრილი ნიავი ფრთაგაშლილი დაქრის,
ფოთოლი-ფოთოლს გულში ეკვრება...
ხილის ბუჩქივით გაშლილ მინდორზე
შეყრილა ხალხი ტანჯულ-ვნებული,
შუა, მაღლ ობზე, დგას ახალგაზდა
და სიტყვას ამბობს მთლათ აგზნებული:
—„ამხანაგებო! იყო დრო, ხანა,
როცა ყოველი ადამიანი
თავისუფალი იყო, ცხოვრობდა,
როგორც ფრინველი უცხო, ფრთიანი.
მათ ხელში იყო სუყველაფერი,
რაც კი ბუნების წყალობა არი:
ხეზე ნაყოფი, ტყეში—ნადირი
და წყალში—თევზი სხვადასხვა გვარი.
მაგრამ დადგა დრო ძალმომრეობის,
არსებობისთვის გაჩაღდა ბრძოლა,
სუსტი ძლიერმა დაიმორჩილა,
უმრავლესობა შეიქნა მონა.
ახი, თვისი შრომის ოფლს ღვრიდა
და ნახევრადჯერ იყო მშიერი,
ერთი უშრომლათ ტკბილათ ცხოვრობდა,
ეულმოთ ქონდა სუყველაფერი!..
ვ ვიდოდნენ საუკუნენი,
იცვლებოდა სახე ცხოვრების,
მაგრამ გოდებნით, შინაარსი კი
ვე რჩებოდა, ძველებან, ყოველთვის.
დღეს არც კი იცის ბევრმა ჩვენგანმა
ის, თუ რა არის თავისუფლება:
გონია მისი საკუთრებაა,
ვინც ახლა იმით სარგებლობს, სტკბება!
მაგრამ თანდათან იღვიძებს ხალხში
მისდამი ტრფობა და სიყვარული:
სურთ დაიბრუნონ იგი კვლავდევ
სულ სხვა ფორმაში გამოხვეული.
ჩანს, დადგება დრო, დრო სანეტარო,
კვლავ გამეფდება თავისუფლება
და მისი მადლი ყველას—დიდს, მცირეს,
თანასწორათა მოეფინება.
მაშ, მეგობარნო, ხელი-ხელს მივცეთ,
ძალა-ძალასა შევუკავშიროთ
და ჩქარ ნაბიჯით გავსწიოთ მისკენ,
ჩვენსკენ მომავალს, ჩვენც მივაშუროთ!
ავაფრიალოთ წითელი დროშა
ერთობისა და თანასწორობის
და შევებრძოლოთ მხნეთ შავ-ბნელ ძალას,
დავცეთ, დავამხოთ ტახტი მონობის!
ნუ შეგვაშინებს ტანჯვა-წვალება
ციხით, ციმბირით, თოფ-მათრახებით,
თავისუფლება, ძმანო, ძვირათ ღირს,
მისთვის სიკვდილსაც ნუ შევუდრკებით!..“
ხალხი ყურს უგდებს სულ-განაბული,
თანდათან ბრძოლის ცეცხლი ედება
და გულში ფიქრობს, აღელვეული:
„ან სიკვდილი, ან თავისუფლება!“

ვ. ჩახ-რუხაძე.

## თფილისის მეჩექმეთა მიმართ

—

ამხანაგო მეჩექმეებო! დღეს თქვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მუშათა სიძლიერე მათს ერთობაშია. როგორც საერთოთ მთე- ლი მუშათა კლასის ინტერესებს, აგრეთვე ცალკე ჩვენს პროფესიონალურ ინტერესებ- საც დარაჯათ ჩვენი შეერთებული ძალა უნდა დავუყენოთ. თქვენ გამოცდილებით იცით, თუ რა გაუმაძღარი მადა აქვთ ჩვენს ხაზეინებს; ისიც იცით, რომ მათთან ცალ- კე თითოეულ ჩვენგანს ბრძოლა უფრო გაუჭირდება, ვიდრე ყველას ერთად, ერთ პროფესიონალურ კავშირში ძმურათ შეერ- თებულებს. ამ მიზნით შევადგინეთ ჩვენ მე- ჩექმეთა კავშირი. როგორც კავშირის წეს- დებიდან დაინახავთ, კავშირს ექნება მხო- ლოდ პროფესიონალური ხასიათი. ეს არ იქნება პარტიული ორგანიზაცია. ჩვენს პრო- ფესიონალურ კავშირში ყველა მუშას შე- უძლია შესვლა ვინც მეჩექმეთა პროფესიას ეკუთვნის განურჩევლათ წოდებისა, ეროვ- ნებისა, სარწმუნოებისა და პარტიული რწმე- ნისა.

ამისათვის მოგიწოდებთ ამხანაგებს შე- მოუერთდეთ უკვე დაარსებულ კავშირს და მით გააძლიეროთ ის.

### წ ე ს დ ე ბ ა

### მეჩექმეების პროფესიონალური კავშირისა

**მიზანი კავშირისა:** 1) კავშირი მიზნათ ისახავს მეჩექმეთა პროფესიის ყველა მუშაკ- თა შეერთებას თავისი პროფესიონალური, უფლებრივი და კლასობრივი ინტერესების დასაცავათ.

2) წევრთა გონებრივ-ზნეობრივ განვი- თარებას და კლასობრივ თვითცნობიერების გამორკვევას.

3) მატერიალურ დახმარებას თავის წევ- რებისას

**პირდაპირი დანიშნულება კავშირისა.** 1) მოლაპარაკება როგორც კერძო მუშარ- მოებლებთან ისე მათ კავშირებთან სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე თვალ-ყურის დევნება, რომ ეს პირობები არავისაგან დარღვეულ არ იქნეს.

2) განხილვა სადაო კითხვებისა, როგორც ხაზეინებსა და მუშებს შორის, აგრეთვე თვით კავშირის წევრთა შორის, რისთვი- საც აარსებს შეთანხმების კომისიას.

3) ფულით დახმარების აღმოჩენა გაფი- ცვების გამო უსაქმოთ დარჩენილ ამხანაგ- თათვის და დახმარება წევრთა გაფიცვების დროს.

4) ბიუროს დაარსება უსაქმოთ დარჩე- ნილ წევრთათვის ადგილების მოსაძებნათ.

5) იურიდიული დახმარება თავისი წე- ვრებისათვის.

6) გონებრივ-ზნეობრივი განვითარება, რისთვისაც კავშირი ა) აარსებს სამკითხვე- ლოებს, კლუბებს, თეატრებს და სხვა გა- ნათლებულ სასწავლო დაწესებულებებს.

7) აწყობს სახალხო ლექციებსა და კრე- ბებს.

8) სცემს გაზეთებს თავის პროფესიონა- ლურ ინტერესების დასაცველათ.

**კავშირის საშუალებანი** 1) ზემო აღ- ნიშნულ მიზნის მისაღწევათ და ბრძო- ლის გასაუმჯობესებლათ კავშირი აარ- სებს თანხას, რომელსაც შეადგენს: ა) ყოველ თვიური საწევრო გადასახადი, რო- მლის რაოდენობაც დამოკიდებულია წევ- რთა საერთო კრების გადაწყვეტაზე *) საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება აგ- რეთვე კვირეულათაც სამ სამ შაურობით. ერთდროული გადასახადი დამფუძნებელ და შემდეგ შემოსულ კავშირის წევრთა. გ) კერძო შემოწირულება. დ) შემოსავალი წარმოდგენებისა, სახალხო კითხვებისა და სხვა.

2)—კავშირს უფლება აქვს უძრავ-მოძ- რავი ქონების შეძენისა.

**ვისგან შესდგება კავშირი**—კავშირის წევრათ მიიღება ყველა მუშა მეჩექმეთა პროფესიისა განურჩევლათ რწმენისა, ერო- ვნებისა და პარტიული რწმენისა.

კავშირი შესდგება ნამდვილ და დამხმა- რე წევრებისაგან. ა) ნამდვილ წევრებათ ითვლებიან აღნიშნულ პროფესიის მუშები, რომლებიც იხდიან თვიურ საწევრო გადა- სახადს. ბ) დამხმარე წევრებათ ითვლებიან ის პირები, რომელნიც კერძოთ დახმარე- ბას უწევენ კავშირს და ხელს უწყობენ მის მიერ დასახული მიზნის განხორციელე- ბას. ბ) კავშირის წევრათ მიიღებიან ის შე- გირდებიც, რომლებიც თავის ალებთან მუ- შაობენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) კავშირის წევრათ არ მიი- ღებიან ს ხელოსნის პატრონები და აგრე- თვე ის პირები, რომელნიც რაიმე ადმინი- სტრატიულ თანამდებობას ასრულებენ ფა- ბრიკა ქარხნებში.

შ ე ნ ი შ ვ. 2. დამხმარე წევრებს ეძლევათ სათათბირო ხმა და კავშირის მართვა-გამ- გეობაში არავითარი სამსახურის მიღება არ შეუძლიათ.

**კავშირის გამგეობა**. 1. კავშირის საქ- მეებს განაგებს წევრთა შორის ამორჩეული ბიურო; 2. ჩვეულებრივი კრებები ბიუროს ხდება ორ კვირაში ერთხელ, ხოლო სა- განგებო კრება როცა ამას მოითხოვს რა- მოდენიმე წევრი ბიუროს. 3. აღმასრულე- ბელ ორგანოთ ითვლება კავშირის ბიურო, რომელიც პასუხისმგებელია წევრთა საზო- გადო კრების წინაშე; 4. საზოგადო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიას, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს როგორც აღმასრუ- ლებელ ბიუროს, აგრეთვე სხვა მოხელე პირთა მოქმედებას; 5. ბიუროს ირჩევს კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

**მეჩექმეთა კავშირის ბიურო.**

*) ერთ დროული გადასახადი შეადგენს 50 კაპ., თვიური 60 კაპ.,

## პროვინცია.

—

**ბათუმი.** 21 მაისს, სადამოს 5 საათზე, ქა- ლაქში გავრცელდა ხმა, რომ ქალაქის განაპირას, კახაბერში მცხოვრებ აფხაზებს ჯარი დაეცა, მოკლეს რამდენიმე კაცი, გადაწვეს და გაანადგუ- რეს მთელი სოფელიო. შემდეგ გამოირკვა, რომ ყოველივე ეს მართალია. რას ერჩოდნენ ამ უწ- ყინარ ხალხს? რით გაბრაზდა მან უდანაშაულო ხალხის დახოცვის, დარბევის და გატანჯვა- განადგურებას დაჩვეული მთავრობა?

აფხაზებისათვის ამ საშინელ დღეს მამაკაცე- ბი სახლში არ ყოფილიყვნენ; მიცვალებული გა- სვენებინათ სასაფლაოზე. ამით ესარგებლებინათ იქ მახლობელ ბატარეის სალდათებს და მთვრა- ლები შეცვინოდნენ სახლში მოლოგინებულ ქალს, რომელსაც დაი ადგა და უვლიდა. მოუნდომებიათ დის გაუპატიურება, მარა ქალი ღონიერი გამოდ- გარიყო და ვერ დაემორჩილებინათ გამხეცებულ სალდათებს. ქალს სხვა ქალები მოშველებოდნენ და სალდათებისათვის ღირსეული წინააღმდეგობა გაეწიათ, კაი ლაზათიანათ მიებრეგვათ, შემოეგ- დიჯათ მათთვის „პაგონები“ და უკან გამოერე- კათ ძალადობასა და ძარცვა-გლეჯას დაჩვეულნი. გულ-ამოძუებულ, მიბრეგვილ ვაჟბატონებს ფედე- ფებელის მეთაურობით მთელი შეიარაღებული როტა წაეყვანათ უმწეო ქალების წინააღმდეგ, ალყა შემოერტყათ სოფლისათვის და თოფები დაეშინათ. საცოდავ ქალთა და ბავშვების წივილ- კივილი ცას წვდებოდა, მარა სად იყო მშველე- ლი!.. მოკლეს ორი ქალი; დაჭრეს 2 მამაკაცი და ერთი ბავშვი. გადასწვეს 22 სახლი, დაარ- ბიეს და გაძარცვეს მთელი სოფელი. მოკლეს აგრეთვე ერთი სალდათიც, რომელსაც, როგორც ამბობენ, ყურ-ზაურში თვით ამხანაგის ტყვია მოხვედრია. როცა ყოველივე გათავდა, როცა დაწვავიტეს უდანაშაულო ადამიანები, როცა გა- დაწვეს და გაანადგურეს ღარიბ-ღატაკ ხალხის სარჩო-საბადებელი, მაშინ მობრძანდა გუბერნა- ტორი და ხალხი ანუგეშა: ნუ შეწუხდებით, ყვე- ლები ზარალი აგინაზღაურთ და დამნაშავენი პასუხის გებაში მიეცემაო.

დამნაშავენი კი თავისუფლათ დასეირნობენ და აღბათ, ჯილდოსაც ელიან.

როდის მოკლება ასეთ მხეცობას ბოლო? რო- დის განთავისუფლდება ქვეყანა აღვირ-ახსნილ ბაშიბუზუკების თარეშობისაგან? მკითხველმა თითონ იცის, თუ ვისი ჩაგონებით, ვისი ლო- ცვა-კურთხევით ჩადის ამ სამარცხვინო საქმეებს ქრისტეს მოყვარე მხედრობა. ამის ერთ-ერთ დამამტკიცებელ უტყუარ ფაქტს აქვე მოვიყვანთ:

ამ დღეებში კომენდანტმა ქალაქის თავი დაი- ბარა და შემდეგი გამოუცხადა: ცნობები მივიღე, რომ აქ ერთი სამხედრო პირის მოკვლა განუ- ზრახავთ. თუ რომელიმე მთავრობის მოხელე- თაგანს რაიმე შეემთხვა, მთელს ქალაქს ცეცხ- ლის ალში გავხვევ, ბატარეებიდან ყუმბარებს დავუშენ, არ დავინდობ არც დიდს და არც პატა- რას. შეშინებულმა ქალაქის თავმა ხმოსნები მოი- წვია და კომენდანტის მუქარა გააცნო მათ. ხმოსნებსაც შიშის ზარი დაეცა და ძლივს გა- ბედეს ერთი „ფრიად საგმირო საქმე“... ნა- მესტნიკთან დეპუტაციის გაგზავნა, მარა უგუბერ- ნატოროთ ვერც ეს გაბედეს. გუბერნატორმა კი არ ინება დეპუტაციის დალოცვა—მე თითონ მოველაპარაკები კომენდანტსო და საქმეც ამით გათავდა! წმინდა წყლის ლიბერალები ამ ლიბე- რალურ „გმირობას“ მაინც ჩაიდენდნენ: სათათ- ბიროს თავმჯდომარეს კომენდანტის ასეთ უაზ- როდ უკანონო საქციელის შესახებ ტელეგრამას გაუგზავნიდენ, მარა ჩვენი ცრუ ლიბერალების გაბედულობას ამგვარ ტელეგრამამდისაც ვერ მიუწევია.

აი უფლებრივი სახელმწიფო! საკვირველია თურმე, რომ ერთ რომელიმე მოხელეთაგანს რაიმე შეემთხვას და მთელ ქალაქს ყუმბარებს დაუშენენ, არ დაინდობენ არც დიდს და არც პატარას! ამას უცხადებს კომენდანტი ოფიცია- ლურ პირს, ქალაქის თავს... მთელი ქალაქის ბედ-იღბალი ერთ პატარა მეფუკას ხელშია. რაც მოესურვება ამ პატარა თვითმპყრობელს, იმას ჩაიდენს. მოესურვება დაგვხოცს, ჩამოგვახრჩობს, მთელ ქალაქს ყუმბარებს დაუშენს! ასეთი დეს- პოტობა მგონია, არც დესპოტობის სახელ- განთქმულ სათათრეთშია.

როდის მოეღება ყოველივე ამას ბოლო, როდის?

მკითხველმა იცის—თუ როდის. ჩვენი ვალია ამ მომენტს შეგნებულათ და მომზადებულათ დავხვდეთ.

X

—

**ქ. გორი.** თითქმის ყველა ქალაქებიდან და სოფლებიდან მუდამ დღე მოთავსებულია ცნო- ბები, რომ რეაქციისაგან წაქეზებული, არა გე- თილ-საიმედო პირნი, მუქარით და თავდასხმით სძარცვავენ და აწუხებენ ისედაც დაბეჩავებულ და ტყავ-გაძრალ ხალხს. ასეთმა ვაჟბატონებმა გორშიაც იჩინეს თავი. ამათ შეუდგენიათ ამხა- ნაგობა ხუთი კაცისაგან და სწერენ მოქალაქეებს მუქარის წერილებს, რომ თუ ამა და ამ დღეს არ მოიტან გორიჯვრის ნიშთან, ან ქალაქის ბაღში და არ ჩადებთ 50 ან 100 მანეთს მოგკლავთო; ან კიდევ მოურიდებლათ ესხმიან თავს და სძარცვენ.

ეს ვაჟბატონები, რომელთა ვინაობას ჯერ არ გამჟღავნებით, თავის უმსგავსო საქციელს სოცი- ალდემოკრატების სახელით ჩადიოდენ და პარ- ტიის ჩირქსა სცხებდენ.

25 მაისს, ვაჭარმა გასო სოლოღაშვილმა წე- რილი მიიღო, რომლითაც აცნობებდენ 50 მა- ნეთი უკვე დასახელებულ ადგილას ორმოში ჩაე- დო. სწორეთ ამ ორმოსთან დაიჭირეს ავტორი გაგზავნილ წერილისა, რომელმაც დაასახელა თა- ვისი ამხანაგი. ორივენი გამოტყდენ თავიანთ მოქმედებაში და ბევრი ფაქტები უამბეს დამ- ჭერლებს. სხვათა შორის სთქვეს, რომ დაეცენ ნიკო ოქროპირიძეს და წაიღეს 120 მანეთი; ოქრის მოლოზანს ტასიას შემოახიეს კაბა, დაა- ჭირეს გულზე ხანჯალი და მოსთხოვეს 300 მან., მაგრამ უკანასკნელს, რაინდების საუბედუ- როთ ექვსი აბაზის მეტი არ აღმოაჩნდა; ქარე- ლისკენ დაეცენ ერთ გლეხს, გამოუშვეს ურმი- დან ხარები და წაასხეს; გორშივე დაეცენ მზა- რეულ მიხაკას და სხვ. სოლოღაშვილ გარდა წე- რილით მოუთხოვნიათ ფული ალექსი ხარატო- ვისაგან 50 მანეთი. ამ უკანასკნელის ძმას ნი- კას გორიჯვრის ნიშთან მიუტანია 30 მან., ხოლო მეორე წერილი უყურადღებოთ დაუტო- ვებია.

ეს „პატიოსანი“ კომპანია ამ ბოლო დროს დაიშალა: ზოგი ციხეშია, ზოგი სხვაგან წავი- და და ზოგიც ისევ გორში დარჩა. ვნახოთ შემ- დეგში რას იზამენ.

—

**დ. ბორჯომი.** სახელ განთქმული ობერ-ხუ- ლიგანი, თფილისის ტრამვაის უფროსი ანდრეი ლიტვინენკო, დღეს აქ ბრძანდება. ამ იუდამ ბე- ვრი საზიზღარი საქმეები ჩაიდინა თფილისში და ახლა ცდილობს ბორჯომშიაც გაწყოს საქმე- ები. მოვიდა თუ არა თფილისიდან, ანდრეი ლი- ტვინენკომ საჭიროთ დაინახა ბორჯომელებისა- თვის გაეცნო თავისი თავი შემდეგი სიტყვე- ბით: „მე თფილისში ექვსჯერ მესროლეს, მა- გრამ განგებითა ღვთისათა გადავრჩიო“; ჯერ- ჯერობით ლიტვინენკო მხოლოდ აგიტაციას ეწევა და შემდეგ ვნახოთ რას მოიმოქმედებს.

ბორჯომს ახალი ბოქაული (მახარაძის) ეწვია. ეს ბოქაული ბრძანდება, რომლის „საგმირო საქმეები“ დღესაც არ და- ვიწყებიათ დარბეულ მახარაძის მცხოვრებთ. ან კი როგორ დაივიწყებს კაცი პეტროვსკის (გვარით ბოქაულის) გმირობა? მისმა მოქმედე- ბამ მახარაძის და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები უკიდურეს მდგომარეობამდე მი- იყვანა. ამ სინიდისზე ხელ-აღებულ ბოქაულს დევიზათ გაუხდია ხალხის დარბევა.

ბორჯომში მოსვლისთანავე მან მიმართ სტრაჟნიკებს „პოლიციური რჩევით“ სხვათა შო- რის აი რა უთხრა: „მთავრობამ თუ ახსნა სა- მხედრო წესები, ჩვენ, პოლიციელებმა უნდა გა- მოვაცხადოთ ეს წესები და მცხოვრებლებს შო- შის თავზარი უნდა დავსცეთო“. კრავშიაც გან- თქმული ყოფილა ეს ბოქაული; „არესტანტებს“ მუშტით სცემს თურმე.

ბორჯომელ მაკიტანს გიგა ლოტოევს ძალიან მოსწონებია თურმე ბორჯომის ბოქაული. წარ- სულ კვირას წინადადება მიუცია დანარჩენ ბორ- ჯომელ მაკიტნეებისათვის: ეხლა კარგი „სტრო- გი“ პრისტავი მოგვივიდა, კვირაობითაც გავა- ღოთ სამიკიტნოები და ვივაჭროთ, თუ ვინმე ხელს შეგვიშლის, პრისტავს მივმართოთ და ის გასცემს პასუხსო“. როგორც გავიგე მაკიტნებს არ მიუღიათ ლოტოევის წინადადება.

20 მაისს დილის ცხრა საათზე, ვიღაც უც- ნობი პირები დახვდრიან ახალციხიდან მომავალ ფოსტას და აუტეხიათ სროლა. არავინ არ და- უჭრიათ და ვერც ფოსტა გაუძარცვიათ, ამავე დღეს სტრაჟნიკები ჩხრეკდენ ხალხს, ვითომ იარაღის აღმოსაჩენათ.

23 მაისს ნაშუადღევს 3 საათზე, რკინის გზის სადგურის კასას დაეცენ ხუთი შეიარაღე- ბული პირნი: წაიღეს კასიდან ოთხასი თუმანი და იქვე მყოფ აგენტ სვინცოვსაც წაართვეს 403 მანეთი. ფულის წამღებნი უგზო-უკვლოთ მიიმალნენ; ყაზახებმა, სტრაჟნიკებმა და სალდა- თებმა ძებნა დაუწყეს, მაგრამ ტყეში შესვლა კი ვერ გაბედეს.

დროებით ბორჯომელი.

P. S. „6 მარტს ახალქალაქის მაზრის უფ- რისმა დაატუსაღა ხიზაბავრის მასწავლებელი ა. ხუციშვილი და ბარალეთის მღვდელი შატბე- რაშვილი. ესენი დაუბეზღებია სართის მღვდელს კოპტონაშვილს, რის დასამტკიცებლათ საბუთე- ბიც უჭერავთ ხელში.

ამავე დღეს ახალციხის მაზრის უფროსსაც დაუტუსაღებია გოლის ორკლასიანი სკოლის მა- სწავლებელი, იაშვილი.

დ. ბ.

## მ უ შ ა თ ა შ ო რ ი ს

—

**ბათუმის 1 „უჩასტკის“ რკინის გზის რე- მონტის მუშების მდგომარეობა.** რემონტის მუშებიც ჩაებნენ საერთო მუშათა მოძრაო- ბის ფერხულში. შარშან ზაფხულში გაი- ფიცენ და მოითხოვეს თავიანთი ეკონომიუ- რი მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს გა- ფიცვა გამარჯვებით დაგვირგვინდა: მოი- გეს სამუშაო დღის შემცირება, მუშების მიღება და გაშვება, ადამიანური მოპყრო- ბა და სხვა. მაშინ თავზარ დაცემულ გაი- ძვერა რკინის გზის ხელოსნებმა და უფროს მუშებმა, როგორც კატისაგან დაფრთხალმა თაგვებმა, დაუწყეს სოროებს ძებნა, და როცა ველარ მონახეს ისეთი სორო რო თავი დაემალათ, მაშინ გადაწყვიტეს ისევ მუშებისთვის მიემართათ. მიდიოდენ მუშებ- თან და ეხვეწებოდენ: თქვენი ჭირიმე გვა- პატიეთ, შეგვინდეთ, მიგვიღეთ თქვენს ერ- თობაშიო, მუშებიც გულუბრყვილოთ ღე- ბულობდენ მათ, და ესენიც, როგორც ახ- ლათ მონათლულები, დიდ ფაცა-ფუცში იყვნენ: ვერც კი გაუბედავდით დაძახებას ოსტატო ან უფროსოო, მაშინვე შემოგი- ყვირებდენ: ვინაა უფროსი? მე მუშა ვარ და, ასე გასინჯეთ, ფორმის ქუდიც კი გადაიგ- დეს, მაგრამ გულში კი იმას ფიქრობდენ, თუ როდის მოახერხებდენ და როდის აღიდ- გენდენ ძველებურ თვითნებობას.

გაუთენდათ აღდგომა, დაუდგათ დიდე- ბული დრო, გაბატონდა რეაქცია და გაბა- ტონდენ ხელოსნები და უფროსი მუშებიც. ამ ვაჟბატონებმაც მაშინვე მიყვეს ხელი თავიანთი სურვილის შესრულებას; რა თქმა უნდა ხელი შეუწყეს ნაჩალნიკმა და მისმა თანაშემწემ დალმა (დალი კადეტია) რემონტის დღიურ მუშებს გამოუცხადეს: უნდა იმუშაოთ დღეში 10 საათი, და უნ- და დაიგოთ დღეში 10 შპალი, თორემ და- გითხოვთო.

რკინის გზის სტოროჟებს გამოუცხადეს გზასაც უნდა უდარაჯოთ, გზაც უნდა გა- წმინდოთო, რაც ვერცერთმა ხელოსანმა ვერ მაჩვენა თუ რომელი უსტავში უწე- რიათ გზის გაწმენდა, მხოლოდ მიპასუხეს ამ სამუშავერს მუშები მუდამ ასრულებდენ მხოლოდ გაფიცვით აკვეთეს იგი, მაგრამ ეხლა რეაქციამ გაიმარჯვა და კვლავ უნ- და დავაკისროთო. მუშები ამ წინადადე- ბაზე არ დათანხმდენ და ჩოჩქოლი იყო თუ როგორ მოეწყოთ გაფიცვა, ამ დროს თავი ისახელეს ნიგოითის უფროსმა მუ- შებმა, ერთი დღის განმავლობაში დაა- გეს ხუთმეტ ხუთმეტი შპალი. შემდეგ მუშაობენ დაქანცული, სწერენ თხო- ვნას ნაჩალნიკის სახელზე; მიაქვთ ხელ- ოსნის მოადგილესთან და ეუბნებიან ეს თხოვნა გაგზავნე ნაჩალნიკთან თორემ ცხვირს მოგტეხავთო. თხოვნაში შემდეგი

აზრია გატარებული. (თხოვნის პირი ჩემ ხელთ არის) თქვენი ბრძანებით ჩვენ სამმა უფროსმა მუშამ შევასრულეთ თქვენი ბრძანება; 18 აპრილს ოცდა ხუთ ვერსში გამოვცვალეთ ხუთმეტ ხუტმეტი შპალი სულ ერთათ ორმოცდა ხუთი შპალი. ხელს აწერენ შემდეგი პირნი: მთხოვნელი სიკო ჰანტურაია. მაქსიმე ნინუა. კალისტრატე ხომერიკი.

მოლაპარაკება კიდევ არ იყო მოთავებული, მუშებში გაფიცვის შესახებ ბათუმში ხელოსნის მოადგილემ მიხა გოგუამ გამოუცხადა დღიურ მუშებს: თუ დააგებთ დღეში 10 შპალს და ათ საათს იმუშავებთ დღეში, იმუშავეთ, თორემ დაგითხოვთო. მუშებმა ამ პირობებზე არ დათანხმდენ და გაფიცვა გამოაცხადეს, აპრილის 28. ამ გაფიცვას სხვა მუშებიც შეუერთდენ და წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნილება, 1) ნაჭრობით მუშაობის მოსპობა, 2) სტოროჟებს არ ევალებოდეს გზის გაწმენდა, 3) 9 საათის მუშაობა დღეში, 4) ყველა უქმე დღის წინ 7 საათზე აუშვათ ხელი სამუშავოს. ეს გაფიცვა გაგრძელდა სამი დღე და დასრულდა დამარცხებით. რადგან წინდაწინ შეთქმულობა იყო გაიძვერა ხელოსნების. ამ გაიძვერობაში თვალსაჩინო როლი ითამაშა თედორე მაქაცარიამ, გაფიცვის დროს მუშებმა ამოირჩიეს თავიანთ შორის ორი კაცი, რომლიმსაც უნდა გადაეცათ, რომ არ დაიწყებენ მუშაობას, სანამ მათი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული არ იქნებოდენ. ხელოსანი პირდება თქვენ წადით და მე დაწვრილებით გადავცემ ყველაფერსო. საღამოს იბარებს უფროს მუშებს და უცხადებს მუშები ყაზარმიდან გამოყარე და გასაღები მოიტანე და თუ მუშები გაჯიუტდებიან მაშინ მე ვიცი გაჯიუტების პასუხი: ყველას ჟანდრებს დავაჭერინებ და ციხეში გავაგზავნიებ! ისიც ვიცი მათთან ვინ დაძრწას და აქეზებს, არ გაბედონ თავის მოყრა და მოლაპარაკება, თორემ კაზაკებს დავუძახებ და დავაშოლტინებო; მეყო რაც მომივიდა მაგათი ენის ტარტალით, ციხეში დავლპი (ციხეში ერთი თვე იჯდა) ეხლა მაინც დამანებონ თავი. გაფიცვის წაგების მიზეზი ერთი ეს იყო, მეორე 80 მუშას დათხოვნა გამოუცხადა და დაითხოვა კიდეც.

ეხლა ეს ვაჟბატონი ქირავობს დღეში სამ ორ ახალ მუშას იმ პირობით, თუ 10 შპალს დააგებს დღეში, თავის მუშებს კი ეჩხუბება; ჰკუით იყავით მუშებს ნუ მიბუნტებთ თორემ დაგითხოვთო. მაშ ისევ შეკავშირება, შეგნება და ბრძოლა როგორც გაიძვერებთან, ისე მთავრობასთან. გახსოვდეთ, რომ სანამ ეს ჟანდარმული მთავრობაა არსებობს, ყოველსავე ჩვენის ძალით მოგებულს მოსურვების-თანავე წაგვართმევენ.

ბერისშვილი.

—

**ხაშურის დეპო.** რეაქციამ არც დაბა ხაშურს დააკლო ხელი. ბევრი უწინდელი ამხანაგი ნამდვილი სახით დაგვ ნახა და რევოლიუციონერათ რომ თავი მოქონდა—რეაქციის მებრძოლათ გარდაქნა. ამ მხრივ ყველაზე მეტათ თავი ასახელა ბ-ნმა ვასილ კარატაევმა. ეს ვაჟბატონი ფიანდაზათ ეგებოდა მშრომელ ხალხს, როცა ეს მისთვის ხელ-საყრელი იყო. ახლა კი რეაქციონერთა რაზმში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს და თუ კი რამე გააწყო მუშათა დაჩაგვრას არ დაიზარებს.

ამ ბოლო დროს მთავრობის რეაქცია მისუსტდა, მაგრამ ეს თავისუფალი რეაქციონერი ისევ ძველი ენერგიით განაგრძობს თავის საქმეს. დღე ისე არ გავა, გინმე ხელქვეით მუშას არ შეუკარდეს და ლანძღვა-გინებით არ აიკლოს. მაგრამ მოგეხსენებათ ნამდვილი რეაქციონერი ლანძღვა-გინებით არ დაკმაყოფილდება და აი კარატაევმაც ჯაშუშის როლი იკისრა. ბევრ კაცს მოესპო თავისუფლება იმისი მიზეზით და ბევრი ახლაც იტანჯება.

თუ რამე გასამართლებელი საბუთი მოგეპოვებათ, ბ-ნო კარატაევო, გთხოვთ მიმართოთ სამხანაგო სამართალს.

ხაშურის დეპოს მუშების მონდობილობით
გიორგი მამამთავრიშვილი.

—

### ნოქართა მოთხოვნილებანი

**ქ. თფილისში შუშის მოვაჭრეთა მიმართ:** 1) სამუშაო დღე არა უმეტეს 10 საათისა, 2) კვირა-უქმე დღეებში სავაჭროს დაკეტვა და გარდა მოსული ვაგონების გადმოწერისა ყოველივე საქმის შეწყვეტა, 3) ჯამაგირის მომატება: 20 მანეთიანს მიემატოს 30 პროცენტი. ხოლო ვინც მეტს იღებს 25 პროცენტი, 4) სავაჭროთ სხვაგან გაგზავნილებს ჯამაგირსა და გზის ფულს გარდა მიეცეს დღიურ სახარჯოთ ერთი მ., 5) ავათმყოფობის დროს ორი თვით ექიმის და წამლის ფული ჯამაგირისა და ადგილის შენახვით, 6) წელიწადში ერთი თვის თავისუფლება, თითო კვირის ვადით, როცა ეს ჩვენთვის საჭირო იქნება, 7) ნოქართა მიღებ-დათხოვნა ჩვენგანვე ამორჩეულ პირებთან შეთანხმებით.

ა) ხაზეინი ვალდებულია დათხოვნა 15 დღით ადრე აცნობოს და აგრეთვე მსურველი წასვლისა ვალდებულია ხაზეინი გააფრთხილოს, ბ) უმიზეზოთ დათხოვნილს მიეცეს ზედ-მეტი 4 თვის ჯამაგირი, გ) თავისი სურვილით წასულს კი ერთი თვისა, დ) ვისაც ერთ წელიწადზე მეტი უმუშავია მიეცეს ზემო აღნიშნულზე ერთი თვის ჯამაგირით მეტი წლის რაოდენობის მიხედვით. 8) მოისპოს საწყობებში ხელით მუშაობა, მაგალითად: დაწყობა, დაჩეხვა, გადაყრა-გადმოყრა შუშის და მიწოდება. 9) სამყოფი ოთახის ჰიგიენურათ მოწყობა. 10) ვისაც საწყობს გარეთ აქვს ოთახი დაქირავებული მიეცეს თავის საჭიროებისათვის შუშა ნახევარი საქნამდე. 11) მოისპოს ვაგზალში ღამე შუშის ყარაულობა. 12) გაფიცვის დროს არავინ იქნეს დათხოვნილი ან ჯამაგირ გამორიცხული და ბინის სარგებლობას მოკლებული. 13) ქალაქში და ვაგზალში სამგზავრო კონკის ფული მოგვეცეს თვეში საჭიროების დაგვარათ არა უმეტესი ოთხი მანეთისა. 14) ზრდილობიანი მოპყრობა.

ამა ზემო მოყვანილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი ვადა ინიშნება სამი დღე დღეიდან გამოქვეყნებისა.

შუშის საწყობის ნოქართა ჯგუფი.

—

## რ უ ს ე თ ი

**მთავრობა და სათათბირო.** სასახლის წრეებში ამ ბოლო დროს გამოუცვლიათ აზრი სათათბიროსა მოქმედების შესახებ. აქამდის მთავრობა ვერ ბედავდა სათათბიროს გარეკას, რადგან ამ გარეკას მისი აზრით სერიოზული აშფოთება უნდა მოყოლოდა. ეხლა კი მთავრობა იმ დასკვნამდე მისულა, რომ „ეს არც ისე საშიშოა“-ო, ამბოხებას ისეც ვერ აგიცდენთ და ისევ ჯობს ბოლო მოვუღოთ ხალხში სათათბიროს მიერ „უტოპიების“ გავრცელებას; დროა ენერგიული ზომები მივიღოთ სათათბიროს წინააღმდეგო. სათათბიროს წინააღმდეგ ახალი პლანის ავტორი ტრეპოვის პარტია ყოფილა. ამ „საპატიო“ პარტიის აზრით სათათბიროში მთელი ხალხი არ არის წარმოდგენილი და ამიტომ მთავრობამ ახალი, ნამდვილი ხალხის წარმომადგენლობის გამახორციელებელი სათათბირო უნდა მოიწვიოსო. აი ეს საბაბა უნდა იხმაროს მთავრობამ სათათბიროს გასარეკათ.

უფრო ფართე ბიუროკრატიული სფერები კი წინააღმდეგია სათათბიროს გარეკის. ფიქრობენ ეს მოულოდნელ უბედურებას დაატეხს მთავრობას თავზეო.

**გლეხები და სათათბირო.** „მშრომელთა ჯგუფს“ უთვალავი დეპეშები მოსდის რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან; ამ დეპეშებში გლეხები აუწყებენ დეპუტატებს თავის უკიდურეს მდგომარეობას, უთითებენ ამ მდგომარეობის საშინლათ გამწვავებაზე უკანასკნელ დროში და მოითხოვენ მათგან, ენერგიულათ და შეუპოვრათ იბრძოლონ მიწისა და თავისუფლებისათვის. ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია გლეხებზე მთავრობის დეკლარაციას. გლეხები ამბობენ სანამ მიწას არ მოგვცემენ, შვილებს არ მივცემთ ჯარშიო. გლეხთა დეპუტატებს განუზრახავთ მიმართონ გლეხობას ისეთივე მოწოდებით, როგორითაც დეპუტატ-მუშებს მიუმართავთ მუშებისათვის.

**აგრარული მოძრაობა** თან-და-თან იზრდება, ძლიერ გახშირდა რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებში მამულების გადაწვა. ხშირია აგრეთვე მთავრობასთან შეტაკება. სამარის გუბერნატორს მოსვლია ცირკულიარი, რომელშიაც შინაგან საქმეთა მინისტრი წინადადებას აძლევს მას მოძრაობასთან ბრძოლაში ნურავითარ საშუალებას ნუ დაზოგავს და ისე იმოქმედოს, თითქოს სათათბირო არც კი არსებობდესო.

— „პეტერბურგსკაია გაზეტა“ იუწყება საიმედო წყაროებიდან—პრემიერ-მინისტრ გორემიკინს უკვე აქვს ხელმოწერილი ბრძანება **სათათბიროს გარეკის შესახებ**; ეს ბრძანება მან შესაფერ დროზე უნდა შეიყვანოს ძალაშიო.

**მუშების დარბევა მოსკოვში.** 19 მაისს, საღამოს 8 საათზე, მოსკოვის ერთი ნაწილის ფაბრიკის და ქარხნების მუშებს მიტინგი გაუმართავთ. მონაწილეობას იღებდა რამოდენიმე ასი მუშა. 9 საათზე კრებას თავს დაესხა კავალერია და დაიწყო ცემა. მუშების ერთი ნაწილი იქვე მეორე ნოვოსპასსკის ხიდისაკენ გაიქცა, ბევრნი წყალში გადახტენ და მეორე ნაწილს გასცურეს; მხოლოდ იქაც ხვდებოდენ ჯარის-კაცები და სცემდენ. ფიქრობენ, რამოდენიმე კაცი დაიხრჩოთ.

**სამხედრო დროის და გაძლიერებულ დაცვის წესების გაუქმება** მინდობილი აქვს მინისტრთა საბჭოს. ამ წესების გაუქმება შეიძლება მხოლოდ ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორების წინადადებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი დარწმუნებულნი არიან გუბერნიაში სრული სიმშვიდე და წესიერება სუფევსო.

### წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენ გაზეთში გამოაცხადოთ: „გასული წლის ოქტომბერში სოფ. დიდი ჯიხაიშიდან გადმოპცეს 160 მან; ხოლო თავად-აზნაურებისაგან 17 მან. და 87 კ. სულ 177 მან. და 87 კაპ; ეს ფული დანიშნული იყო დაზარალებულ გურულების სასარგებლოთ. ეს ფულები სამტრედიის ს. დ. ორგანიზაციის საშვალებით გავაგზანეთ დანიშნულებისამებრ, მაგრამ დღემდე არსად გამოცხადებული არ ყოფილა მიაღწია თავის დანიშნულებას ამ ფულებმა თუ არა. ამიტომ უმორჩილესათ ვსთხოვთ ვისაც ჯერ არს გამოაცხადოს გაზეთში იმ ფულის საქმე და უბრალო ეჭვებისაგან გამათავისუფლოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები თითონ მე გამოვაცხადო იმ პირის ვინაობა, ვისაც ეს ფულები გადაეცა.

ჯიხაიშელი.

—

როგორც მოხსენებული იყო ჩემს წერილში („ტრამვაის მოსამსახურეთა მდგომარეობა: ლამპარი № 30) კანტრალიორთა საყვედური ეხებოდა მხოლოდ ზოგიერთ პირებს და მათი გვარების გამოცხადება საჭიროთ აღარ მიმაჩნდა.

ახლა, როგორც ორი კანტრალიორის წერილში ვკითხულობ, მათ სურთ გამომჟღავნება დასახელებული პირებისა და მეც ვასრულებ ამ სამართლიან წინადადებას.

ჩემი წერილი შეეხებოდა: შალვა ბელუხვაძეს, ბორის სკაჩკოვს, არშაკ სემიონოვს, ვანო მაზმიშვილს, ალექსანდრე ჯაიანს და სოსინს.

ეს ყმაწვილები, მართლაც განსაკუთრებულ ენერგიას იჩენენ „პროტოკოლების“ წერაში და სამსახურშიაც მეტის-მეტ ფორმალისტობას იჩენენ.

მშრომელი.

—

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

26 მაისი.

**ვინდავა.** პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო სტამბა და დაიჭირა აუ რებელი პროკლამაციები; დაჭერილია რამოდენიმე კაცი.

**პავლოგრადი.** ვერბისა და პავლოგრადის სოფლის გლეხთა საზოგადოებამ შეიძინა საგლეხო ბანკის დაუხმარებლათ 1400 დესეტინა მიწა, 270 მან. თითო დესეტინა. დობროვოლსკის ვოლოსტის მცხოვრებნი, 29 გლეხი, რომელნიც აგრარულ მოძრაობაში ღებულობდენ მონაწილეობას, სამართალში არიან მიცემულნი.

**კოვნო.** შუაღამისას პოლიციის და გვარდიის ქუჩის კუთხეში გასკდა ბომბა, ახლო-მახლო სახლებში ფანჯრები ჩამტვრეულია; მხვერპლი არ ყოფილა.

**ელისავეტოგრადი.** სეტყვას გაუნადგურებია რამოდენიმე ათასი დესიატინა დამუშავებული გლეხების მიწები. გლეხები სესხს თხოულობენ.

**ვარშავა.** პრომისლოვის და ჩერნიაკოვის ქუჩების კუთხეში დასჭრეს გოროდოვოი და შემთხვევით ერთი ქალი; ერთი მსროლელთაგანი დაიჭირეს, რომელიც ლილპოვის ქარხნის მუშა აღმოჩნდა. ღამით დაეცენ კალიშის ქუჩის საქონლის კასას. კასირმა ტელეფონით გამოიძახა პატრულები, რომელთაც სროლა ასტეხეს. ყაჩაღები მიიმალენ.

**პოლტავა.** ჟურნალ „ნაკანუნეს“ რედაქტორი ქ-ნი ზელოსსკისა სამართალში მისცეს ს.-დემ. სიეზდის რეზოლიუციის დაბეჭდვისთვის.

**სარატოვი.** გუბერნიის მმართველმა გამოსცა მოწოდება მცხოვრებლების მიმართ, რომელშიაც ამბობს, რომ მუშათა დეპუტატები სათათბიროდან გლეხების ასაჯანყებლათ მოუწოდებენ და აფრთხილებს მცხოვრებლებს, რომ ყოველი ასეთი ცდა სასტიკ ზომებით ჩაიქრობაო.

**სმოლენსკი.** გუბერნატორმა დანიშნა გამომძიებელი კომისია ქალაქის გამოჩენილ პირების მონაწილეობით, რომელმაც უნდა გამოიძიოს გაზეთების ცნობები, სადაც აღნიშნული იყო ბავშების ცემა და მოტაცება ადგილობრივ ქალების თავშესაფარიდან, რომელიც იმპერატრიცა მარიამის მხედველობის ქვეშ იმყოფება.

**კიევი.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია ოფიცრების: პილკოვიჩის, ჩერეპანოვის და კოჩერგინის საქმე, რომელთაც 18 აპრილს 1905 წლის აჯანყებაში მონაწილეობის მიღება ბრალდებოდათ. სასამართლომ ყველანი გაამართლა. სამოსამართლო პალატამ გაარჩია „სვობოდა“-სა და „პრავო“-ს ყოფილ რედაქტორ-გამომცემლების პროფესორ ლუჩიცკის და გიმნაზიის დირექტორ ნაუმენკოს საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდათ 139 მუხ. ძალით. ორივე გამართლდა, მხოლოდ დროებითი კანონების დარღვევისთვის თითო 300 მან. დააჯარიმეს.

**ეკატერინოდარი.** ამომრჩევლების სიეზდი ორ ნაწილათ გაიყო. კაზაკებმა სათათბიროს წევრათ ქალაქის საბჭოს წევრი კოჩერსკი (კადეტია) აირჩია. ხვალ ორივე სიეზდზე ხელ-ახალი არჩევნები მოხდება.

**პეტერბურგი.** აზნაურების სიეზდმა დაასრულა აგრარული საკითხის შესახებ მსჯელობა. უმთავრესი ყურადღება გლეხების დახმარებას და მათ მწარმოებელ ძალების ფეხზე წამოყენებას მიაქციეს. სიეზდის დადგენილება, გამომდინარეობს არა წოდებრივი თვალთახედვის ისრიდან, არამედ სახელმწიფოებრივიდან. ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროთ იცნეს შემდეგი ზომები: მისცეს გლეხს თავისუფლება თემისაგან გამოსვლისა და ნადელების სრულ საკუთრებათ შექნისა, ამასთანავე სიეზდი აუცილებლათ სცნობს, რომ სახელმწიფომ და აზნაურობამ ფართო დახმარება გაუწიოს გლეხებს მიწების შეძენაში და სახაზინო ადგილებზე გადასახლებაში; ყველა ამის განსახორციელებლათ აგრეთვე აუცილებლათ სცნობს საგლეხო ბანკის მოქმედების გუმჯობესებას და გაფართოვებას.

**პეტერბურგი.** მიწების ძალათ ჩამორთმევის პრინციპი აზნაურობის სიეზდმა ვერ სცნო შესაძლებლათ. ეს ზომა სიეზდის აზრით მცხოვრებლებს არა თუ ამშვიდებს, არამედ მათში შუღლსა და მტრობას ბადებს, ძირს უთხრის კერძო საკუთრებას და ეკონომიურ ცნებ.ს აუქმებს თვით გლეხებს.

**კიევი.** ტრამვაის მოსამსახურეების გაფიცვას უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა, და თავის მოთხოვნილებებს უკანვე იბრუნებენ. ხვალ ისევ ჩვეულებრივი მიმოსვლა დაიწყება.

**მოსკოვი.** ბეჭდვითი საქმის მუშებში მოძრაობა იზრდება. გაიფიცნენ მბეჭდავები და დამწყობები. სტამბის პატრონებმა გაფიცვაზე გაფიცვით უპასუხეს და სტამბები განუსაზღვრელ ვადამდი დაიხურა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. გაიხსნა 11 ს. 45 წუთ. თავმჯდომარეობს დოლგორუკოვი. ტოკარსკი წინადადებას იძლევა სადღეისო საქმეების შესახებ კამათი შემდეგისთვის გადიდვას და აგრარულ საკითხის გარჩევას შეუდგენ. ტოკარსკის წინადადებას კენჭი უყარეს. სათათბირო აგრარული საკითხის გარჩევას შეუდგა. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა ორატორების სიის დახურვისას ამ საკითხის შესახებ, და ორატორის სალაპარაკო დროის 5 წუთით განსაზღვრას და აცხადებს, ჩაწერილია უკვე 129 ორატორიო. ორატორების სიის დახურვა მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა, ხოლო დროის განსაზღვრა უარყვეს და დაიწყო კამათი. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მშრომელთ ჯგუფის წარმომადგენელმა ანიკინმა აგრარული საკითხის შესახებ. ის ამტკიცებს გლეხების გაჭირვებას და იმ აზრის სიცრუეს, ვითომ გლეხები კერძო საკუთრების შენარჩუნებას თხოულობდენ; ისინი მხოლოდ მიწით სარგებლობას თხოულობენ. დაბოლოს ორატორი რუსეთის ხალხს შემდეგი სიტყვით მიმართავს: თქვენ გამოგზავნეთ ჩვენ მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლათ, ჩვენ განვაცხადეთ მიწების ძალით ჩამორთმევის საჭიროება. ჩვენ გვიპასუხეს, რომ ეს შეუძლებელია, მაშინ ჩვენ ვუპასუხეთ „წადით, წადით.“ დოლგორუკოვი ცდილობს ორატორი შეაჩეროს, მაგრამ კრება ამ უკანასკნელს ტაშს უკრავს. შემდეგ ილაპარაკა ზაბოლოტნიმ.

**პეტერბურგი.** სათათბირო. ზაბოლოტნის შემდეგ, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა 42 წევრის პროექტი ილაპარაკა სპოსობნიმ (ეკატერინოს.) ილაპარაკა აგრარულ კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც მისი აზრით კერძო საკუთრებას სპობს. კრება გადაიდვა 29 აპრილამდის.

**პეტერბურგი.** გაზ. „დვადცატი ვეკ“-სა და „ნ. ჟ.“-ში დღეს მოყვანილი ცნობა, თითქოს ფინანსთა სამინისტროს გრაფ ვიტედან მოუვიდა დეპეშა, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს საზღვარგარეთელ ბანკირების მოსაზრებანი უკანასკნელ ხუთი წლის სესხის საბოლოო განხორციელების შესახებ.—ეს ცნობა გამოგონებულია: არც ფინანსთა სამინისტროს და არც მინისტრს არავითარი დეპეშა არ მიუღია გრ. ვიტესაგან ზოგიერთ რუსულ გაზეთებში გავრცელებული ხმები რუსეთის მთავრობის მიერ ახალი სესხის აღებაზე მოკლებულია აგრეთვე ყოველივე საფუძველს.

**ლონდონი.** „რეიტერი“ იუწყება დაწვრილებით ბრიტანიის ესკ დრის კრონშტადში მგზავრობის პროგრამას. მისი სიტყვებით პროგრამა ახლო მომავალში იქნება გამოქვეყნებული. მგზავრობა საზღვაო აღლუმის დამთავრების შემდეგ მოხდება.

**ბათუმი.** გემთა მიმოსვლის და ვაჭრობის საზოგადოების კასაში მოტაცებული ფული უდრის 11,500 მან. მომტაცებლები მიიმალენ.

**პეტერბურგი.** (ოფიციალურათ) ვენის „პოლიტიკურ კორესპონდენციებში“ დაიბეჭდა ტელეგრამა პეტერბურგელ კორესპონდენტის, რომელიც ამბობს, რომ გორემიკინის კაბინეტის გადადგომა გადაწყვეტილია. აგრეთვე დღეს გაზ. „ბირჟევია ვედომოსტის“ საღამოს გამოცემაში დაბეჭდილია, რომ „გუშინ გორემიკინის სამინისტროდ სამსახურიდან გადადგომის განცხადება შეიტანა. პასუხი არ მიუღია!! ეს ცნობები ტეუილია. მაღალ სფერებში სამინისტრო[...] გადადგომის შესახებ გითხვა არ აღძრულა.

**რიგა.** აქაურ დროებით სამხედრო სასამ[...] თლომ დაასრულა საქმე რიგის მებრძოლ დრუ[...] ჟინის შესახებ. ბრალდებულებში დროებით გი[...] როსს პროვიზორ რუბინშტეინს, მის წინააღ[...] დგილეს ზახაროვს და კიდევ ხუთ კაცს სიკ[...] დილით დასჯა(?) გადაუწყვიტეს, 9 გაამართლეს, დანარჩენებს გადაუწყვიტეს კატორღა 3—1[...] წლამდი.

**პეტერბურგი.** მუშათა დეპუტატების აღ[...] მასრულებელი კომიტეტის შესახებ საბრალ[...] დო აქტის შედგენა გაათავეს. 299 ბრალდებ[...] მართალში მიცემულია 53. ბრალმდებლების აზ[...] რით კომიტეტის მეთაურებათ ითვლებიან: ხრუ[...] სტალიოვი, ტროცკი, იანოვსკი, ფრეიტი, [...] ფენტიევი. საქმე გაირჩევა 17—20 [...] ხალხის დასწრებით.

**ვარშავა.** გუშინ გაძარცვეს 24 დვინის [...] წყობი-დუქანი. 12 დასწვეს. ერთი მძარ[...] მოკლეს ერთი დაიჭირეს.

**ქუთაისი.** სასულიერო სასწავლებლის [...] დამხედველი გრეკოვი ეკლესიიდან გამოსვლ[...] დროს სამი ტყვიით სასიკვდილოთ დასჭ[...] დამნაშავენი მიიმალენ.

**თელავი.** თელავის ახლო გაძარცვეს ფ[...] ტა. ავაზაკები, რიცხვით 20 კაცი, ჩასაფრე[...] ლი იყვნენ და უცბათ ფოსტას თოფები დაუ[...] ნეს. მოკლეს ცხენები და ჩაფრები. გაიტ[...] 10,000 მან.

**ეკატერინოსლავი.** შარშან პირველ ივლ[...] უბნის ზედამხედველ ეფიმენკოს, როდესაც [...] სეირნობდა ებრაელ მუშებში ვიღამაც [...] დის სიმყავე გადაასხა. ამ ფაქტმა კინაღამ [...] რაელების დარბევა გამოიწვია, ამ საქმის [...] დენი გამოჩნდა ვიღაც ბერძენი, რომელმაც [...] ვის თავს პროვოკატორი უწოდა და რომელ[...] ამასთანა ამბები ხშირათ ჩაედინა. პალატამ ბ[...] ძენს ერთის წლით დატუსაღება და უფლებებ[...] ჩამორთმევა გადაუწყვიტა.

**კიევი.** გაფიცვის მოხდენისთვის რამოდენი[...] მე ტრამვაის კონდუქტორებს კიევიდან ასახლ[...] ბენ. დანარჩენები ძველ პირობებში მიიღეს.

**რომნი.** პოლიციამ დაიჭირა გაზ. „[...] სლოვო“-ს დამატება, სადაც სათათბიროს 1[...] მუშათა წევრის მოწოდება იყო დაბეჭდილი.

**ხარკოვი.** გენერალ-გუბერნატორის განკა[...] გულებით გაზ. „ხარკოვსკი ჟიზნ“-ის ნომე[...] დაიჭირეს სტამბაში.

**ვარშავა.** გუშინ სამხედრო სასამართლო[...] დახრჩობა გადაუწყვიტა შემდეგ პირებს: ანდრ[...] ნოვიკოვსკის, დოიასკის, აპროშევსკის, ვარ[...] როვიჩს, რომელთაც ბრალდებოდათ სოფლ[...] გმინზე შეიარაღებული თავდასხმა.

**სიმფეროპოლი.** როგორც ოფიციალურ[...] ცნობებიდან სჩანს, ევპატორიაში დიდი არეუ[...] ლობა დაწყებულა. უმუშევართ დაუწყვიათ წისქვი[...] დი, გაუნადგურებიათ მექანიკური ქარხანა, გა[...] მგზავრა ვიცე-გუბერნატორი ჯარებით და მეზ[...] ლებით.

**ბერდიჩევი.** გაანთავისუფლეს 9 გლეხ[...] რომლებსაც აგიტაციას აბრალებდენ.

**ბელოსტოკი.** მოკლეს პოლიცმეისტერ[...] დერკაჩევი.

**ევპატორია.** არეულობის დროს ზარალი 100,000 მანეთს უდრის.

**სიზრანი.** სოკოლოვის მამულში აგრარულ[...] არეულობა მოხდა. სტრაჟნიკებმა გლეხებს სც[...] მეს.

—

### „ლამპარი“-ს ფოსტა.

—

**ალექსანდრე ივანეს ძე კურპანოვ[ს].** გთხოვთ, თქვენი ადრესი გაგვაგებინოთ. რო[...] ადრესს გავიგებთ გაზეთს გამოგიგზავნით.

რედაქტორ-გამომცემელი კ თავართქილაძე


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ იმ პირთა სია, ვ[ი]საც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღო[ს] ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევა[ნ]ში ოთხი წლით 1906—1910 წ. წ., თა[ნა]ხმათ საქალაქო დებულების 35 მუხ[ლ]ისა, საყოველთაოთ გამოცხადებული იქნე[ბ]ა ამა 1906 წლის 1 ივნისს.

საქალაქო დებულების 33 მუხლის მე[...] პუნქტის ძალით, არჩევნებში მონაწილე[o]ბას ვერ მიიღებს ვერც პირადათ და ვერ[ც] წარმომადგენლობით ის პირი, ვის მამულ[ზ]ედაც ვალად ითვლება ქალაქის დაფასებ[ი]თი გადასახადი ნახევარ წლისაზე მეტი, ამ[ი]ტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველა[ს], ვისაც სურს არ დაკარგოს მომავალ არჩ[ე]ვნებში მონაწილეობის მიღების უფლება, [რომ] დააჩქაროს გადასახადის შემოტანა, [სანამ] საარჩევნო სია გამოცხადდებოდეს იმ წესით, რომელიც დაარსებულია საქალაქო დებ[უ]ლების 38 მუხლის ძალით.

15 მაისი 1906 წ.

ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძე
მდივანი ს. ფარეიშვილი

(3—3)